გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№332 (391) 22-29 სექტემბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ამ დღიურებს ბავშვები საკონცენტრაციო ბანაკებში წერდნენ – სულისშემძვრელი დოკუმენტები მეორე მსოფლიო ომიდან

გვ.3

## ალექსანდრე ჭაჭია: თურქეთის გენშტაბის საიდუმლო გეგმა საქართველოს წინააღმდეგ (?!)



გვ.2

## მიმართვა ჭეშმარიტად პატრიოტი და განათლებული მეცენატი ადამიანებისადმი

გიწვევთ ჩვენი უთუოდ საყურადღებო საენათმეცნიერო ნაშრომების გამოსაცემად, თანამონაწილეებად, ჭეშმარიტ მამულიშვილებსა და ერისკაცებს, ბატონებო და ქალბატონებო.

დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით,

**მამანტი ძაძამია,**
8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 5 უნივერსიტეტის პროფესორი;

**ცირა ძაძამია,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 5 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 3 უნივერსიტეტის პროფესორი

გვ.4

## ვინ აფინანსებს პრორუს ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს საქართველოში და ვის ადანაშაულებენ ისინი ფულის გათეთრებაში

ორგანიზაციის მიზანი რუსეთთან ურთიერთობების დათბობა, მოლაპარაკების დაწყება, პირველ პირებს შორის შეხვედრები, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების მშვიდობიანი გზებით დეოკუპაციაა.

გვ. 3



## კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია)

სწორედ ჩვენს ეპოქაში დაისვა რენესანსის ისტორიული ცნების გაფართოების საკითხი მხატვრულ კრიტიკასა, ესთეტიკასა და ფილოსოფიაში. მარქსიზმმა მეცნიერებასა და ფილოსოფიაში დასახა ახალი პერსპექტივები, ახალი ხედვა და თვითშეგნება, ახალი იდეები ამეტყველდა ხელოვნებასა და ლიტერატურაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში...

გვ.7



გვ.8

## რეზო ჩხეიძე – მსოფლიო კინოს პატრიარქი

## უახლოეს მომავალში “რესპები”, ალასა და მარგველა ერთ კოალიციაში მოგვევლინებიან — რა ხდება მმართველ კოალიციაში?!

გვ. 6



გვ.11

## დედა ეკლესიას მოწყვეტილი იერუსალიმის წმინდა სალოცავები

# თურქეთის გენშტაბის საიდუმლო გეგმა საქართველოს წინააღმდეგ (?!)

**გამოქვეყნდა გაზეთ „ალიაში“, №75 (№2200), 2008 წლის 25 ივნისს, დაშნაკი მიხეილ სააკაშვილის მიერ ცხინვალის რეგიონში პროვოკაციული ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე.**

*გაზეთ “ილორის” რედაქციისაგან – ჩვენს მიერ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებისა და ანალიტიკური მასალების სისტემატურად გამოქვეყნება არ გახლავთ მშრალი პიარღონისძიება. რედაქციის მიზანია გააცნოს მკითხველ საზოგადოებას დღევანდელი ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერის მსოფლმხედველობა და შეუმცდარი პოლიტიკური ალღო, რომლის კატეგორიულმა იგნორირებამ ჯერ შევარდნაძის გამყიდველური, შემდეგ კი საქართველოს დაშნაკურ-ნაციონალური ხელისუფლებისა და მისი თავქარქაშა ლიდერის სააკაშვილის მიერ, მრავალი საფრთხე მოუვლინა ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით იგივე პოლიტიკას აგრძელებს “ქართული ოცნების” ხელისუფლებაც, რაც წინა ხელისუფლების შეცდომათა საბედისწერო განმეორება გახლავთ და საშუალებას აძლევს ოპოზიციაში გადაბარგებულ და პოლიტიკურ ნიადაგგამოცლილ ნაციონალებს, რომ ბინძური პოლიტიკური კამპანია გააჩაღონ ბატონი ალექსანდრეს სახელისა და ღირსების დასაკნინებლად. პოლიტიკურ ბაბაჭუებად ქცეული დაშნაკი ნაციონალები ცდილობენ, “ოცდაათი ვერცხლის” საფასურად, ბატონი ალექსანდრეს წინააღმდეგ აამხედრონ უღირსი ადამიანები მისი პოლიტიკური გარემოცვიდან თუ სანათესაო წრიდან და ამ გზით მოიპოვონ პოლიტიკური დივიდენდები, მაგრამ ფაქტია, რომ “შიში ვერ იხსნის სიკვდილსა...”*

*იციან სრული პოლიტიკურ კოლაფსის შიშით ატანილმა ავადსახსენებელმა ნაციონალებმა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მათი შანსები ნულის ტოლია და ამიტომაც ქმნიან მტრის ხატს ჭეშმარიტად პატრიოტი პოლიტიკოსისაგან, რომელიც საქართველოში შევარდნაძის გამყიდველური მოღვაწეობის დაწყებისთანავე გვაფრთხილებდა იმ მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე, რაც ავ სიზმრად აუხდა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ, როგორც იტყვიან, “წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო...”*

*ნაციონალები უკვე “წავიდნენ”, “დარჩნენ” ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და მის მიერ ნაწინასწარმეტყველი პრობლემები, რომელთა მოგვარებაზე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავინ იწუხებს თავს!*

**– ბატონო ალექსანდრე, ძალიან ზოგადად გკითხავთ, რა ხდება რუსეთ-საქართველოს შორის?**

– როდესაც მე რუს პოლიტიკოსებთან და პოლიტოლოგებთან აფხაზეთის საკითხზე პოლემიკა მიწევს, ყოველთვის ვცდილობ დავარწმუნო ისინი, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება სწორედ რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებში არ შედის და ხშირად მე მათგან თანხმობას ვაღწევ. რეალისტი და შორსმჭვრეტელი რუსი პოლიტიკოსებისათვის და უპირველესად ვლადიმერ პუტინისათვის გასაგებია, რომ ე.წ. **„დამოუკიდებელი აფხაზეთი“** მაგნიტის როლს შეასრულებს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის, სადაც სეპარატიზმის საფრთხე დიდზე დიდია.

მე კარგად ვიცი, თუ რა ხდება და რა სიტუაციაა ჩრდილოეთ კავკასიაში და სანამ თურქეთი და ისლამი იარსებებს, იქ სეპარატიზმს ვერავინ ამოძირკვავს. თქვენ კარგად გახსოვთ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაცია შეიქმნა, კონფედერაციის დედაქალაქად დაასახელეს სოხუმი. ეს არის თურქეთის გენერალური შტაბის ძველი გეგმა, რომელიც უკვე რამდენიმე ათეულ წელს ითვლის და ამ გეგმის მიზანია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება აფხაზეთის ჩათვლით, რათა მათ ჰქონდეთ ზღვაზე გასასვლელი. აი, ასეთი გეგმა აქვს თურქეთის გენშტაბს, რომელმაც პირველად 1978 წელს იჩინა თავი და ამ საკითხს საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროც კი იხილავდა. ამ განხილვის შემდეგ საკავშირო ცეკას მდივანი კაპიტონოვი მიავლინეს სოხუმში, რომელმაც აფხაზების ცნობილი გამოსვლები ჩააწყნარა. მაშინ საბჭოთა კაგებეს შეფმა – ანდროპოვმა აუფრიალა პოლიტბიუროს თურქეთის გენშტაბის გეგმა აფხაზეთის საქართველოსთვის ჩამოშორების შესახებ და სწორედ ანდროპოვმა დაარწმუნა კრემლი, რომ აფხაზეთის საქართველოსთვის ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება იქნებოდა უხეში შეცდომა და თურქული გეგმის განხორციელებისთვის ხელის შეწყობა.

**– რაკი თურქეთი ნატოს წევრია, შეიძლება აქედან გამომდინარე განვაცხადოთ, რომ საქართველოსთვის აფხაზეთის ჩამოშორების გეგმა ათეული წლების წინ ნატო-მ დაწერა?**

– რა თქმა უნდა, 1978 წელს თურქეთი **ნატო**-ს წევრი იყო და მსგავსი გეგმების შესაქმნელად თურქეთს დიდი გამოცდილება აქვს. ამდენად, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში, თურქეთის გენშტაბის გეგმა ისევ აღორძინდება.

**– მერედა, ამ საფრთხეს კრემლი აცნობიერებს?**

– საგარეო პოლიტიკაში რუსეთის მთავარი ფიგურა ბოლო დრომდე იყო პუტინი, რომელიც ამ საფრთხეს აცნობიერებს. თუ დამერწმუნებით, პუტინი იმ საფრთხესაც აცნობიერებს, რომ ე.წ. დამოუკიდებელ აფხაზეთს უფლება ექნება ხელშეკრულებები გააფორმოს უცხო სახელმწიფოებთან, მათ შორის თურქეთთან. თუ აფხაზებმა მოახერხეს და თურქეთიდან ის 200 თუ 300 ათასი მუსლიმანი მუჰაჯირი აფხაზეთში დააბრუნეს, ჩათვალეთ, რომ რუსეთს არამარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ მთელ სამხრეთში უსერიოზულესი პრობლემა შეექმნება. ამდენად, ობიექტურად, რუსეთისა და საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესები იმ საკითხში, რომ აფხაზეთი აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ერთმანეთს ემთხვევა.

**– ბატონო ალექსანდრე, ჩვენ და რუსები ასე თუ ვემთხვევით ერთმანეთს ყველაფერში, აბა, პუტინის 16 აპრილის ავადსახსენებელი გადაწყვეტილებები აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის შესახებ, რაღა იყო, რასაც სოხუმში სარკინიგზო ჯარების შემოყვანა და აფხაზეთში, ფაქტობრივად, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება მოჰყვა?**

– ამერიკის მიერ კოსოვოს აღიარების შემდეგ, პუტინი აფხაზეთთან მიმართებაში შედარებით ნაკლები ბოროტების – **“ტაივანიზაციის”** გზას დაადგა. მან არ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ეს არის ჩვენთვის გაცილებით უფრო მისაღები გადაწყვეტილება, ვიდრე რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება შეიძლება ყოფილიყო. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრი, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპასა და რუსეთში, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ელოდა, რომ პუტინი აფხაზეთის დამოუკიდებლობას ცნობდა, მაგრამ პუტინი ამ ნაბიჯზე პრინციპულად არ წავიდა. ამერიკის ადმინისტრაცია თითქმის დარწმუნებული იყო, რომ პუტინი აფხაზეთს აღიარებდა, რითაც ვაშინგტონს სურვილებს აუსრულებდა, მაგრამ...

**– რა სურვილების ასრულებაზეა ლაპარაკი, და რას გულისხმობთ, ბატონო ალექსანდრე?**

– რას ვგულისხმობ და, აფხაზეთის აღიარებით რუსეთი გამოცხადდებოდა აგრესორად, ხოლო ამერიკა ჩვენს მეგობრად და ასე გადაწყდებოდა მთავარი საკითხი, – საქართველოს აღარ ექნებოდა ის ტერიტორიული პრობლემა, რის გამოც **ნატო** თავს შეიწუხებდა.

**იმისათვის, რომ საქართველომ აფხაზეთი დაიბრუნოს, საჭიროა სამი რამ: საქართველომ უნდა გამოაცხადოს და რუსეთთან და თურქეთთან საგანგებო ხელშეკრულებით უნდა დაადასტუროს, რომ იგი იქნება ნეიტრალური სახელმწიფო და არც ერთი უცხო ქვეყნისა თუ სამხედრო ალიანსის ჯარი ჩვენს ტერიტორიაზე არ იქნება;**

**– დეკემბერში, ნატოს სამიტზე, მაპ-ს მოგვცემენ?**

– არა, რადგან საქართველოს **ნატო**-ში მიღება არ სურს ევროპას, რომელიც მთლიანად რუსეთის კარზეა ჩამოკიდებული და ევროპა ჩვენს გამო რუსეთს არ გადაიმტერებს.

**– ბატონო ალექსანდრე, ბევრი აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას სოჭის მოახლოებულ ოლიმპიადას უკავშირებს. როგორ წარმოგიდგენიათ იმ რუსი ოლიგარქების აფხაზეთიდან გაძევება, რომლებსაც მილიონები დააბანდეს აფხაზეთის კურორტებზე და მათ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთიდან გაძევებით ემუქრება და საერთოდ, რას იტყვით, როგორია ჩვენი შანსები, რომ 2014 წლამდე, ანუ სოჭის ოლიმპიადამდე საქართველომ აფხაზეთი დაიბრუნოს?**

– რუს ოლიგარქებს, რომლებმაც აფხაზეთის კურორტებზე მილიონები დააბანდეს, ნაკლებად მგონია ვინმემ რაიმე წაართვას, ეს ერთი... ქართველებმა რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი და შევხედოთ, რა ხდება მსოფლიოში. რუსეთს აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის გარეშეც აქვს იმის რესურსი, რომ სოჭში ოლიმპიადა უმაღლეს დონეზე ჩაატაროს. მე არა მგონია, რომ ოლიმპიური ქარტიის დარღვევის გამო და იმის გამო, რომ რუსეთი აფხაზეთიდან ბუნებრივ სიმდიდრეებსა და სამშენებლო მასალებს ეზიდება, რათა სოჭში ოლიმპიური მშენებლობა გააჩაღოს, რუსეთი ვინმემ რომელიმე ორგანიზაციიდან გარიცხოს და სოჭში ოლიმპიადა არ ჩატარდეს. ეს არის ბლეფი... საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა, ამ ოლიმპიურ მშენებლობაში თავადაც მიეღო მონაწილეობა და ეკონომიკურად დაჩაჩანაკებულ ქვეყანას რაღაც სარგებელი ენახა.

**– აფხაზეთის ფულით ყიდვა შეიძლება? სხვათა შორის, ამ გეგმაზე ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი საუბრობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, როცა ჩვენ გაზეთში აცხადებდა, – „მიმიშვან და აფხაზეთს ნაწილ-ნაწილ ვიყიდიო”. თქვენი აზრით, მაინც რა ღირს აფხაზეთი?**

– აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფასი ღირს-მეთქი და უაფხაზეთოდ საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოებრიობაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ბატონ ბადრის არ ჰქონდა იმდენი კაპიტალი, რომ აფხაზეთი ეყიდა. რუსეთში ამ დონის გადაწყვეტილებებს დღეს უკვე ის ხალხი ღებულობს, რომელთათვისაც ფულს, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მათ შევთავაზოთ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იმისათვის, რომ საქართველომ აფხაზეთი დაიბრუნოს, საჭიროა სამი რამ: საქართველომ უნდა გამოაცხადოს და რუსეთთან და თურქეთთან საგანგებო ხელშეკრულებით უნდა დაადასტუროს, რომ იგი იქნება ნეიტრალური სახელმწიფო და არც ერთი უცხო ქვეყნისა თუ სამხედრო ალიანსის ჯარი ჩვენს ტერიტორიაზე არ იქნება; საქართველომ რუსულ პოლიტიკურ ელიტაზე დღედაღამ უნდა იმუშაოს და ვინც კი კრემლში ჭოჭმანობს, დაარწმუნოს, რომ რუსეთსა და საქართველოს აფხაზეთთან მიმართებაში ობიექტურად ერთი და იგივე გეოსტრატეგიული ინტერესები აქვთ. მერწმუნეთ, თუ მოვინდომებთ, ამის გაკეთება შეიძლება. მესამე პრობლემაა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან საერთო ენის გამონახვა, მათი კეთილგანწყობის მოპოვება და იმ კავშირებისა და ურთიერთობების აღდგენა, რომელიც საქართველოს ამ ხალხებთან ისტორიულად ჰქონდა. რომ არა შევარდნაძის მიერ აფხაზეთში პროვოკაციულად ატეხილი ომი, ზვიადს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობა, ფაქტობრივად, მოგვარებული ჰქონდა. გამსახურდია ქვეყნის ორიენტაციის საკითხშიც შორსმჭვრეტელობასა და სიფრთხილეს იჩენდა. იგი წინააღმდეგი იყო საქართველოს რომელიმე სამხედრო ბლოკში, მათ შორის ნატოში გაერთიანებისა და ქვეყნის ნეიტრალიტეტს უჭერდა მხარს.

**– ბატონო ალექსანდრე, უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში, საქართველოში ძალიან ბევრი რამ მოხდა. ქვეყანა ლამის თავზე დაგვემხო... თქვენი აზრით, რატომ ვერ მოახერხა ოპოზიციამ სააკაშვილის დამარცხება და რა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ უზარმაზარი პროტესტი, რომელიც ხალხში სუფევდა, ხელისუფლებამ მაინც გატეხა?**

– ქართულმა ოპოზიციამ საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის განვითარების ალტერნატიული გზა ვერ შესთავაზა. სააკაშვილიც და ოპოზიციაც იმაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს, რომელი უფრო იყო ამერიკის ერთგული. ოპოზიცია სააკაშვილს სააკაშვილისავე მოედანზე ეთამაშებოდა და შედეგმაც არ დააყოვნა, – ამერიკამ ოპოზიციაში ვერ იპოვა სააკაშვილზე უფრო ერთგული, მორჩილი და ბეჯითი მოთამაშე. ოპოზიციის დამარცხების მიზეზი სწორედ ეს არის.

**ინტერვიუ მიჰყავდა**
**დიტო ჩუბინიძე**

**რეალისტი და შორსმჭვრეტელი რუსი პოლიტიკოსებისათვის და უპირველესად ვლადიმერ პუტინისათვის გასაგებია, რომ ე.წ. “დამოუკიდებელი აფხაზეთი“ მაგნიტის როლს შეასრულებს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის, სადაც სეპარატიზმის საფრთხე დიდზე დიდია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამ დღიურებს ბავშვები საკონცენტრაციო ბანაკებში წერდნენ – სულისშემძვრელი დოკუმენტები მეორე მსოფლიო ომიდან



*მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 70 წელი გავიდა. კაცობრიობას დღემდე თავზარს სცემს ის სისასტიკე, რაც მაშინ ადამიანების თავს დატრიალდა. ამ ომმა მილიონობით ბავშვიც იმსხვერპლა. ძალიან ბევრმა მოზარდმა დღიურებში ასახა ის მოვლენები, რაც მათ თვალწინ განვითარდა. გამოცემაში "ბავშვური წიგნი ომზე" 35 ასეთი დღიური შევიდა. ამ დღიურებს ბავშვები 1941-1945 წლებში ტყვეობაში, ბლოკადაში, საკონცენტრაციო ბანაკებსა თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე წერდნენ. ფურცელზე გადაჰქონდათ ის ენით აუწერელი სისასტიკე, რის წინაშეც აღმოჩნდნენ. ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და სულისშემძვრელი დოკუმენტებია კაცობრიობის ისტორიაში. წარმოგიდგენთ ამონარიდებს ამ დღიურებიდან:*

• როგორ მინდა გავექცე ამ სასიკვდილო შიმშილის მარწუხებს, გავექცე მუდმივ შიშს და ახალი ცხოვრება დავიწყო სადმე პატარა სოფელში, ბუნებასთან ახლოს, დავივიწყო გადატანილი უბედურება... აი, ჩემი დღევანდელი ოცნება.

• უკვე ჩიხია, ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შემიძლია, შიმშილი, საშინელი შიმშილი. გვერდით დედა და ირა. არ შემიძლია მათ პურის ლუკმა წავართვა... არ შემიძლია, თუმცა ახლა თუნდაც ერთი ნამცეცი პური... დღეს, საფუნთუშედან რომ მოვდიოდი, დედას და ირას წილი 25 გრამი პური უნამუსოდ შევჭამე... უფსკრულში მივექანები, უსინდისოდ... მრცხვენია... ირას საცოდაობას ვეღარ ვუყურებ... საჭმელი! საჭმელი!

**1941 წელი, ლენინგრადის ბლოკადა**

• მეორე კატა ყოველგვარი ზიზღის გარეშე შევჭამეთ, კმაყოფილები ვართ, რომ დავნაყრდით. მერე საშინელი შიმშილის დღეები დაიწყო. მაღაზიებში არაფერი აღარაა, არც სახლში, კატებსაც, ეტყობა, სხვებიც ჭამენ. ქუჩაში ერთ მაწანწალა კატასაც ვეღარ იპოვი.

**1942 წელი, ლენინგრადის ბლოკადა**

• ზედამხედველმა რვანი შეგვარჩია და გვითხრა, დამკრძალავთა ბრიგადაში იქნებითო. აქამდე დიდი არეულობა იყო,



მკვდრები რამდენიმე დღე იწვნენ ბარაკებში. ახლა გვევალება, რომ ადამიანი მოკვდება თუ არა, მაშინვე გავხადოთ, ამოვაცალოთ ოქროს კბილები, ოთხმა კაცმა გავიტანოთ და ბარაკის კართან დავაწვინოთ.

**1943 წელი, შტუტჰოფის საკონცენტრაციო ბანაკი.**

• აი თურმე რად შეიძლება იქცეს ადამიანი. უკვე მეც ვფიქრობ, რომ მართლა **"რუსი ღორი"** ვარ ნომრით 25795. მკერდზეც ნომერი მაქვს, ჯიბეშიც, ქუდზეც, ყელზეც მაიძულებენ, რომ ნომერი მეკიდოს... ყველანი დანომრილები ვართ.

**1943 წელი, დრეზდენი**

• 23-დან გესტაპოში მთელი ებრაელი ინტელიგენცია დაიბარეს, ზოგი დახვრიტეს, ზოგი დააპატიმრეს. მხოლოდ გუშინ 5000 ადამიანი დახვრიტეს. დღეს ფ. გაიყვანეს დასახვრეტად. აღარ ვიცი, რას ვგრძნობ. მიმძიმს და მრცხვენია. რით იყო ფ. ჩვენზე უარესი? მშვენიერი და მამაცი გოგო იყო. გამართული წავიდა, თავი აწეული ჰქონდა... დარწმუნებული ვარ, ასე თავაწეული მოკვდა. ფ. იცოდე, რომ არასოდეს დაგივიწყებ და ოდესმე შურს ვიძიებ.

**1942 წელი, კრემენეცი**

• მეგონა, ცეცხლში ვიყავი, ცრემლებში ვიხრჩობოდი. ამდენ დარდსა და სიცივეში რას ვიფიქრებდი, თუ დღიურის წერას დავიწყებდი. დღეს ისეთი რამ მოხდა, რომ წერა დამაწყებინა... მამა, როგორც ყოველ დილით, ცეცხლის ასანთებად წავიდა, რომ მანის ფაფა მოგვეხარშა... ახადა სამალავს თავი და მეზობელს დაუძახა: **"შურა, გამოდი, ცოცხა..."** – და ამ დაუმთავრებელ სიტყვით მისი სიცოცხლეც დასრულდა. სროლის ხმა გაისმა, მერე რაღაც გაჩხაკუნდა და მამა ნელ-ნელა ჩამოცურდა სამალავის კიბეზე...

**1942 წელი, სტალინგრადი**



# „რეზო ამაშუკელმა დაურეკა მინისტრს და გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება, პატრიარქმა დაიბარა და უთხრა – ეს რა არისო!.."

ცნობილი ბიზნესმენი ლევან ვასაძე ეროვნულ სასწავლო გეგმას აკრიტიკებს. ლევან ვასაძის განცხადებით, დებულება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ, სრულად ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირებულებებს.

გადაცემა **"ჰოთ ინტერვიუში"** იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დამფუძნებელმა და დემოგრაფიული განვითარების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განათლების სამინისტროში უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ პროცესს. დებულების მიხედვით, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველი უნდა გახდეს, მე-3-4 კლასელ ბავშვებს ავალებენ ითამაშონ როლური თამაშები, რაც ვასაძის განცხადებით, ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვნებს მოუწევთ ყველა სახის უმცირესობის წარმომადგენლის განსახიერება. მისივე თქმით, აღნიშნულ დებულებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს საპატრიარქოსაც. დებულების გამოქვეყნების შემდეგ, განათლების მინისტრი საქართველოს პატრიარქმაც დაიბარა.

**"რეზო ამაშუკელმა დაურეკა მინისტრს და გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება, პატრიარქმა დაიბარა და უთხრა – ეს რა არისო. ეს კონკორდანტის პირდაპირი დარღვევაა. არის რაღაცეები, რაშიც არაფერი გვაქვს სასწავლი ამერიკისგან და ევროპისგან. ხომ არ შეიძლება ყველაფერში შეგირდები ვიყოთ. ამერიკელებისგან იმის სწავლება როგორ ავღზარდოთ შვილები და როგორ ვეურთიერთოთ ცოლებს, იგივეა ქართველმა მეგზევეებმა ამერიკელებს ასწავლონ, როგორ დააგონ ასფალტი",** – განაცხადა ვასაძემ.

**საქინფორმი**

# ვინ აფინანსებს პრორუს ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს საქართველოში და ვის ადანაშაულებენ ისინი ფულის გათეთრებაში

2015 წლის მაისში ევროკავშირის **"აღმოსავლეთ პარტნიორობის"** რიგის სამიტის წინ ორი კონფერენცია გაიმართა, სადაც საერთაშორისო მედიისა და ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და იმ გზებზე იმსჯელეს, რითიც შესაძლებელი იქნება რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა.

კონფერენციისას რუსული **"რბილი ძალის"** გააქტიურებაზე საუბრობდა ყველა ქვეყნის წარმომადგენელი და აღნიშნავდა, რომ **"რუსეთის ხელისუფლება მთავარ იარაღად ადგილობრივ მედია და არასამთავრობო ორგანიზაციებს იყენებს. გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა ანტი-დასავლური რიტორიკა სოციალურ ქსელებში, ონლაინ მედიაში, ზოგიერთ რადიო და ტელეგადაცემებში. ამგვარი მიზანმიმართული ნარატივი უმეტესწილად სწორედ პრო-რუსული რიტორიკის პოპულარიზაციას ახდენს",** – ნათქვამია საზოგადოებრივი პროექტის **Damoukidebloba.com**-ის კვლევაში, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩატარდა.

ავტორების თქმით, კვლევაში მოცემული ინფორმაცია ოფიციალურია, ამონაწერები გაკეთებულია სამეწარმეო რეესტრიდან და კვლევა მომზადებულია ოფიციალურ წყაროებზე. მათივე თქმით, არცერთი შეფასება და ფაქტი გამოგონილი არ არის.

კვლევა სათაურით **"რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე"** აქვეყნებს **"ანტიდასავლური რიტორიკის მქონე ორგანიზაციების"** სიას. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია ორი ორგანიზაცია – **"ევრაზიის ინსტიტუტი"** და **"ევრაზიული არჩევანი"**. ინტერნეტსაიტი **AMBEBI.GE** ორივეს ხელმძღვანელს დაუკავშირდა.

**"ევრაზიული არჩევანის"** ხელმძღვანელის, არჩილ ჭყოიძის თქმით, ორგანიზაციის მიზანი რუსეთთან ურთიერთობების დათბობა, მოლაპარაკების დაწყება, პირველ პირებს შორის შეხვედრები, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების მშვიდობიანი გზებით დეოკუპაციაა.

**არჩილ ჭყოიძე:** სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ზოგიერთს უნდა, რომ ჩვენი **"ევრაზიული არჩევანის"** მოძრაობა გაამარგინალონ და ისე წარმოაჩინონ, თითქოს პრორუსულია და მისი მთავარი არსი რუსეთთან შეერთებაა, რაც არის აბსურდი. ჩვენი მთავარი მიზანი არის ის, რომ საქართველომ გამოაცხადოს სამხედრო ნეიტრალიტეტი, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე არ იდგეს არცერთი უცხო ქვეყნის ჯარისკაცი.

ისე, მინდა გითხრათ, რომ საქართველოში არის ძალიან ბევრი ვითომ პრორუსული ორგანიზაციები, რომლებიც ვითომ აგვარებენ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს 20 წელია. მათი მთავარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ფულის გათეთრება, რუსეთიდან გადმორიცხული თანხის მითვისებაა, მათ არც ვეტერანი აინტერესებთ, არც კულტურული ღონისძიებები და ძირითად შემთხვევაში ვიზებით ფულს შოულობენ. ჩვენ ამ ადამიანებს ძალიან მალე ვამხელთ და საზოგადოება გაიგებს ვინ არის პრორუსი და ვინ რას საქმიანობს", – ამბობს არჩილ ჭყოიძე.

მისი თქმით, ბოლო ერთი წელია ორგანიზაციას თავად წევრები აფინანსებენ:

"ორგანიზაციის ოფისი საკუთარ სახლში მაქვს და რომ იძახიან, თითქოს საქართველოში პრორუსი ორგანიზაციები მომრავლდნენ და მათ სერიოზული დაფინასება აქვთო, ეს აბსოლუტური სიცრუეა, ყოველ შემთხვევაში ჩვენთან მიმართებით ეს ასეა, ვინაიდან ოფისი საკუთარ სახლში მაქვს".

**"ევრაზიის ინსტიტუტის"** ხელმძღვანელის, **გულბაათ რცხილაძის** თქმით, ორგანიზაცია თავად ახდენს გავლენას რუსულ საზოგადოებაზე და ანალიტიკურ ცენტრებზე.

"ახლა რუსეთმა საქართველოს მიმართ სანქციები რომ არ მიიღო, ეს ჩვენი დამსახურებაცაა, რადგან ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენი ხელისუფლება რუსეთისადმი ცუდად განწყობილი არ არის, არის გარკვეული იძულებითი მომენტები და ნუ გეწყინებათ. საქართველოს ინტერესებში რაც არის, იმას არ გადავუხვევთ.

ჩვენი ორგანიზაციის მთავარი შინაარსი ცნობილი ახლა კი არ გამხდარა, ჯერ კიდევ სააკაშვილი როცა იყო თავისი ძლიერების ზენიტში და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ საქართველო უფსკრულში გადაეჩეხა, რუსეთს უბიძგა ეღიარებინა ის მიტაცებული ტერიტორიები ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ჩვენ სწორედ მაშინ ავტეხეთ განგაში და ვთქვით, რომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაა საჭირო.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჩვენ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ვმუშაობთ, თუმცა სხვა ბევრი საკითხიც განიხილება, მაგრამ ეს ინფორმაცია არაკვალიფიციურმა გოგო-ბიჭებმა დაწერეს. მინდა მაგათ დამფინანსებლებს ვუთხრა, ფულს წყალში ნუ ყრიან. თუ ფული აქვთ ჩვენ მოგვცენ და უფრო კარგ პროექტებს გავაკეთებთ. მათ საიტზე არსებული ბანერებით გააკეთეს დასკვნები და ეს არასერიოზულია.

დაფინანსების წყაროები ჩვენ ძალიან მწირი გვაქვს. მე თვითონ მაქვს გარკვეული ბიზნეს შემოსავალი, ჩემს კოლეგებსაც და ასევე, შემოწირულობები, ვინმე ქართველი ბიზნესმენი გამოჩნდება, რომელსაც რაღაც საქმე აქვს რუსეთში, მაგალითად ბევრი მეღვინეა, ვისაც რუსეთისკენ გზა გავუხსენით და ის ხალხი გვეხმარება", – ამბობს გულბაათ რცხილაძე.

გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა, კვლევაში მითითებულია მედიასაშუალებები, რომლებზეც რუსული გავლენა იგრძნობა, ჩამონათვალში შევიდა მედია-გამოცემა **"საქართველო და მსოფლიო"**, საინფორმაციო პორტალი **"ივერიონი"** და სხვა.

**"მე ლუზერი "ნაციონალი" სექსოტების და მარგინალი მამათმავლების ფანტაზიებზე კომენტარს არ ვაკეთებ",** – განაცხადა გაზეთ **"საქართველოს და მსოფლიოს"** მთავარმა რედაქტორმა, ირაკლი თოდუამ.

სააგენტო **"ივერიონის"** ხელმძღვანელის, ზაურ ნაჭყებიას თქმით, სააგენტოს არანაირი გამოკვეთილი ორიენტაცია არ აქვს და მისი თქმით, სააგენტო წერს ყველა თემაზე და არის ობიექტური.

**"რას ნიშნავს პრორუსი ან პროდასავლელი? საერთოდ ამის დეფინიცია ამიხსნას ვინმემ და მერე გავცემ პასუხს. ეს ყველა არგუმენტი უსუსურია იმის გამო, რომ ჩემი სტატიები, რომელიც "ივერიონში" იბეჭდებოდა, პარალელურად იბეჭდებოდა "საქართველო და მსოფლიოში" ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მე რუსული ორიენტაციის ვარ?**

**არგუმენტები დამიდონ, რა ვთქვი ისეთი, რომელიც ჩემს პრორუსულობას განსაზღვრავს. ამას გარდა, მე არ მიმაჩნია, რომ პრორუსულობა ჩემთვის უარყოფითი იმიჯის შემქმნელია, არასოდეს არავისგან ერთი თეთრი არ მიმიღია, არც კავშირი მაქვს რუსეთში მცხოვრებ ოლიგარქებთან ან ოფიციალურ სტრუქტურებთან.**

**რაც შეეხება დაფინანსების წყაროს, სააგენტოს არანაირი დაფინასება არ აქვს და არცერთი ხელფასიანი ჟურნალისტი არ მყავს. საერთოდ არანაირი კავშირი რუსეთთან არ მქონია. წინა საარჩევნო პერიოდში სააგენტო "ივერონს" ვხელმძღვანელობდი, რომელიც ბატონ მინდია გულუასი იყო, დამთავრდა საარჩევნო ბატალიები, წამოვედი "ივერონიდან" და "ივერიონი" დავაფუძნე იმ იმედით, რომ ვიღაცები დაფინასებას მპირდებოდნენ. სამწუხაროდ, არავინ დამიდგა გვერდში და მე თვითონ ვწვალობ, თუ ვინმე დაინტერესდება "ივერიონის" დაფინასებით, სიამოვნებით მივიღებ ამ შეთავაზებას",** – ამბობს ზაურ ნაჭყებია.

**თაკო ესებუა**

# მიმართვა ჭეშმარიტად პატრიოტი და განათლებული მეცენატი ადამიანებისადმი

თანამედროვე აღმოჩენების (დმანისში ნაპოვნი პირველყოფილი ადამიანების, პირობითად, – ზეზვას და მზიას ჩონჩხების) მიხედვით, ადამიანის ასაკი დედამიწაზე, დაახლოებით 2 მილიონ წელს ითვლის.

კაცობრიობამ თავისი არსებობის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი, პრაქტიკულად, სიბნელეში, გაუნათლებლობის პირობებში განვლო. თუმცა, ადამიანი, გაჩენის დროიდანვე ეცნობოდა, სწავლობდა გარემომცველ სამყაროს და იღებდა ცოდნას მის შესახებ. საგანთა უნივერსალური სამყარო თავად ასწავლიდა ადამიანს, ყოველივეს, მის შესახებ.

ადამიანთა საზოგადოების მიერ ათასწლეულების მანძილზე დაგროვებული ცოდნა საგანთა სამყაროს შესახებ სულ უფრო და უფრო მრავლდებოდა, ბოლო პერიოდში, შეიძლება ითქვას, გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. სასწაულებს ახდენდა ადამიანი ამ პროცესში. ამაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა ცალკეული დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები.

თავისი არსებობის დაახლოებით 2 მილიონი წლის მანძილზე, დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები ყოველდღე ხედავდნენ, მაგალითად, რომ მზე დილით ამოდიოდა, საღამოთი კი ჩადიოდა. მაგრამ მხოლოდ ამ უკანასკნელი 300-ოდე წლის წინ მიხვდა ადამიანი (კოპერნიკი, ჯორდანო ბრუნო...), რომ დედამიწა ისეთივე ციური სხეულია, როგორც მზე, ვარსკვლავები, სხვა პლანეტები, და, რომ დედამიწა მრგვალი და მბრუნავი ერთ-ერთი კოსმოსური საგანია. თუმცა, მოხდა უდიდესი გაუგებრობა: ჯორდანო ბრუნო, ამ ფაქტის გაცხადებისა და მისი გადაუთქმელობისათვის, კოცონზე დაწვეს კათოლიკური ეკლესიის იმდროინდელი მამამთავრის ბრძანებით... კიდევ უფრო დიდი პარადოქსია ის ფაქტი, რომ ამ ორიოდე წლის წინათაც კი ვატიკანის ეკლესიის მამამთავარმა უარი თქვა ჯორდანო ბრუნოს რეაბილიტაციაზე. პარადოქსები ჩვეულებრივი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიისათვის.

დიახ! იყო დრო, როცა მეცნიერების არც ერთი დარგი არ არსებობდა.

მოვიდა დრო, როცა კაცობრიობა დაეუფლა მეცნიერების ასობით დარგსა და ათასობით ქვედარგს. არნახულ და წარმოუდგენელ განვითარებას მიაღწია ადამიანმა მეცნიერებათა დარგებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ მან შესძლო შეესწავლა მილიონობით გალაქტიკა, მაშინ როდესაც ერთ გალაქტიკაში დაახლოებით 1,5 მილიარდ ვარსკვლავს ითვლიან.

ასეთ პირობებში, ადამიანმა ამ უკანასკნელ დრომდე ვერ შესძლო შეესწავლა საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძვლები, ენისა, რომელსაც იგი ფლობს მისი გაჩენიდან და ავითარებს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ურომლისოდაც ადამიანი, – როგორც მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება, – არ არსებობს, ენისა, რომელსაც იგი დღენიადაგ იყენებს და რაც მას ყველაზე უბრალო ეჩვენება.

ეს ასე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ოდითგანვე იყო დაინტერესებული ენის წარმოშობის საკითხის შესწავლით. მის შესახებ პირველი მეცნიერული თეორიები წარმოიშვა ჯერ კიდევ ძველბერძნული ანტიკური პერიოდიდან, კერძოდ, ძვ. წ. VI საუკუნიდან. გაჩნდა მრავალი თეორიაც, მათ შორის, ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორია, მაგრამ ვერც ერთი მათგანის დამტკიცება ვერ მოხერხდა. ყველა ისინი, სათითაოდ, უარყოფილ იქნენ საპირისპირო თეორიების მიერ. საბოლოოდ, მსოფლიო ენათმეცნიერება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა საერთოდ შეუძლებელია. ასეთი მოსაზრება აქ გაბატონებული აღმოჩნდა ბოლო თითქმის ერთნახევარი საუკუნის მანძილზე. ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლის მრავალსაუკუნოვანი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლა შეუძლებლად იქნა გამოცხადებული შემდეგი მთავარი მოტივებით; **1. „ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული, შემთხვევითია და ნებისმიერი“; 2. „მართალია, ენაში გვაქვს ხმაბაძვითი სიტყვებიც, მაგრამ ისინი ენის ლექსიკის ძალზე მცირე და უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს და ენის წარმოშობის ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორიის დასამტკიცებლად ვერ გამოდგება“; 3. „თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც კი არ არის დარჩენილი, ამიტომაც შეუძლებელია მისი აღდგენა. ენის წარმოშობის საკითხი სამუდამოდ დაკარგულია კაცობრიობისათვის“.**

ასეთ პირობებში, ჩვენ, მამა და შვილმა თანაავტორებმა, მამანტი ძაძამიამ და ცირა ძაძამიამ, ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემული ნაშრომით **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“** (ზუგდიდი) დავადგინეთ გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ლექსიკის 75 პროცენტის ხმაბაძვითი წარმომავლობა. ამით, ყოველგვარი სხვა საბუთმტკიცებულებების გარეშეც, ცალსახად დადასტურდა ენის წარმოშობის ხმაბაძვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორიის ჭეშმარიტება, მაგრამ ჩვენ ამით არ დავკმაყოფილებულვართ და წარმოვაჩინეთ სამეტყველო ბგერებისა და სიტყვების წარმოშობის, საგნის (სხვა მონაცემის) სახელდების, საარტიკულაციო ბაზისის (სამეტყველო ჩვევის) განვითარების მიზეზები და პირობები ანუ საფუძვლები და დავადგინეთ, რომ ენის წარმოშობა და ადამიანის წარმოშობა ერთმანეთის თანამდევი, ურთიერთდაკავშირებული მოვლენაა დედამიწაზე.

სავსებით სრულყოფილად და ყოველმხრივ დავასაბუთეთ ჩვენი აღმოჩენა შემდგომდროინდელი ნაშრომებით. კერძოდ, ნაშრომით **„სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი“** (ზუგდიდი. 2003) წარმოვაჩინეთ მეგრული ენის ლექსიკის 90 პროცენტის ხმაბაძვითი წარმომავლობა; ნაშრომით **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** (შვიდტომეული, თბილისი, 2007) დავადგინეთ მეგრული ენის მთელი ლექსიკის 90 პროცენტის ხმაბაძვითობა. ამასთან, იქვე წარმოვადგინეთ ამ ენის 294 მილიონამდე სიტყვის მომცველი ლექსიკონი (საამისოდ, ზმნური ფონდი წარმოვადგინეთ **„ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის“** სახით; და, ბოლოს, ნაშრომით **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“** (ოცტომეული, კომპიუტერული ვერსია და ამონაბეჭდი, 2014) დადგენილ იქნა იგივე, – რომ მეგრული ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა და მოტივირებულია (იდეამტარებელია), თანაც, ფონეტიკური დასაბამიდანვე. მაგრამ, შვიდტომეულისგან განსხვავებით, ოცტომეულში მოხმობილ იქნა მეგრული ენის მთელი ლექსიკა, ორ ნაწილად. კერძოდ: 1. ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) წარმოდგენილ იქნა II–XVIII ტომებში, **„მეგრული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის“** სახით, რამაც შეადგინა 1.410.119.286 სიტყვა პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ. ამ ლექსიკონის ყოველ ერთ გვერდზე საშუალოდ დაფიქსირებულია (იკითხება) 150.000-მდე სიტყვა; 2. მეგრულის დანარჩენი ლექსიკა წარმოდგენილ იქნა XIX ტომში, **„მეგრული ენის სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების (გარდა ზმნური ფონდისა) ლექსიკონის“** სახით. მასში მოცემულია 26.000-მდე სიტყვა.

ამრიგად, მეგრული ენის ლექსიკა მთლიანობაში ითვლის 1.410.145.286 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ. აქედან სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულ ენაში მეტ-ნაკლები სიხშირით ხმარებადია ანდა შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოში უმდიდრესი ლექსიკის მქონედ მიჩნეულ და ამის გამო გინესის წიგნში შეტანილ ინგლისურ ენაში ითვლიან 450.000-მდე სიტყვას.

მეგრული ენის ლექსიკის 99,99 პროცენტი ზმნურ ფონდს განეკუთვნება, ხოლო 99,2 პროცენტი, როგორც უკვე ითქვა, ხმაბაძვითი წარმომავლობისაა.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მეგრული ენის მთელი ლექსიკის სიტყვათწარმომავლობა ანუ ეტიმოლოგია, შემდეგ საფუძველზე: აღმოჩნდა, რომ მეგრული ენის მთელი კოლოსალური, დიახ ფანტასტიკური ლექსიკა დამყარებულია სულ რაღაც 6.652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე ანუ მიღებულია ამათი აფიქსაცია-გრამატიზაციით. მათი წარმომავლობის შესწავლით, პრაქტიკულად, შესწავლილ იქნა ამ ენის მთელი ლექსიკის სიტყვათწარმომავლობა. დადგინდა ისიც, რომ მეგრული ენის მთელი ლექსიკის წარმომდგენი 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1869 ფორმა, ანუ 28,1 პროცენტი, მაგრამ იმ საფუძველზე, რომ ესენი ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით, მათზეა დამყარებული მეგრული ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი და მხოლოდ დანარჩენი 0,8 პროცენტი განეკუთვნება **„წმინდა წყლის“** პირობით ნიშნებს.

მეგრული ენის ლექსიკის კოლოსალური სიმდიდრე განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

აურაცხელია საგანთა სიმრავლე სამყაროში და თვით ჩვენს საცხოვრის პლანეტა დედამიწაზე. მით უფრო აურაცხელია საგანთა ნიშან-თვისებები, მათი გადაადგილებანი სივრცეში და ერთმანეთის მიმართ და ა. შ. ყოველივე ეს აღრიცხვას, სახელდებას, შესწავლას მოითხოვდა, რაც, ჩანს, მეგრულმა ენამ, როგორც ადამჟამიერი იაფეტური ენიდან პირდაპირი ხაზით მომდინარე უშორეულესი წარმომავლობის ენამ, ყველაზე სრულყოფილად და ყოვლისმომცველად შესძლო. საამისოდ, ამ ენაში წარმოდგენილია 525 დერივატი (მნიშვნელობამცვლელი) საგრამატიკო საშუალება, მაშინ როდესაც ამგვარ საშუალებათა 100 ერთეულიც კი არც ერთ სხვა ენაში არა გვაქვს.

თუ კი ენათმეცნიერებას აქამდე მიაჩნდა, რომ სიტყვის აფიქსები ადრე არსებული რომელიღაც სხვა სიტყვებიდანაა მიღებული, მეგრული ენის გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ენის საგრამატიკო საშუალებები და თვით მეტყველების ცალკეული ნაწილებიც კი, კერძოდ, ნაცვალსახელები, ზმნიზედები, კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები და შორისდებულები (ამათი უდიდესი ნაწილი) მიღებულია უთავდაპირველესი ემფატიკური (სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) მარცვალწარმომქნელი და დეტერმინანტი (იდეაგანმსაზღვრელი) ნახევრადხმოვანი) ბგერისაგან, ანუ წარმოადგენენ მის ფონეტიკურ ვარიანტებს.

აქედან მიღებული იქნა ასეთი დასკვნაც: **თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველყოფილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე თანმხლები ემფატიკური ნახებრადხმოვანი ) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.**

მეგრული ენის სიტყვების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი სხვა ენაზე პირდაპირ უთარგმნელია. მათი თარგმნა შეიძლება მხოლოდ აღწერილობითი ხერხით (ასე, მაგ., სიტყვა **მიგვანჯღალ**) ასე შეიძლება ითარგმნოს: **„გვინჯღალი“**, ანუ დაბალი, ჩია და ჩაფსკვნილი ერთგვარი, მირბის ან მიდის ჩქარა და ტანრხევითად მისმიერი გამომეტყველებით).

**მეგრული ენა, ლექსიკის გასაოცარი სიმდიდრისა და სიტყვების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილის აღწერილობითი ხასიათის წყალობით, საგანთა სამყაროს წარმოაჩენს ისევე, როგორც ის სინამდვილეში არის წარმოდგენილი.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მეგრული ენა, ლექსიკის გასაოცარი სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს არა მხოლოდ ბგერწერით უკუფენას, არამედ ფერწერით უკუფენასაც. ამ თვალსაზრისით, მეგრული ენა წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედამიწაზე.**

საწინააღმდეგოდ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრებისა, რომ თითქოსდა თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც კი არ იყოს დარჩენილი და ამის გამო შეუძლებელი იყოს ენის წარმოშობის საფუძვლების ამოხსნა, დასაბუთდა, რომ **თანამედროვე მეგრულ ენაში ცოცხლად არის დაუნჯებული ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობისა და განვითარების მთელი ისტორია.**

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, უპრეცედენტო მოვლენაა ენათმეცნიერებაში.

როგორც ამას სპეციალისტები აფასებენ, უთუოდ დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ **ენის წარმოშობის საფუძვლების ქართველი მეცნიერ-მკვლევარების მიერ ამოხსნის შედეგად, მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრმა, რაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში მოიაზრებოდა, ამიერიდან საქართველოში გადმოინაცვლა და დამკვიდრდა სამუდამოდაც, ვინაიდან ამაზე დიდი და პრობლემური საკითხი ენათმეცნიერებაში არასოდეს იქნება.**

ჩვენი ენათმეცნიერული ნაღვაწი ჯეროვნად დაფასებულია, რაც დასტურდება შემდეგით:

200-ზე მეტი რეცენზია-შეფასება გვაქვს მიღებული ავტორებს ამ ნაშრომების შესახებ. ამასთან, მიღებული გვაქვს გამოხმაურებანი უცხოეთის 21 ქვეყნიდან, მათ შორის: ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, ინგლისიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან თურქეთიდან, ნორვეგიიდან, რფრ-დან, კანადიდან, ლიტვიიდან... 7 მათგანიდან შინ გვსტუმრობდნენ დაინტერესებული პირები, 5 მათგანიდან კი მიწვევაც გვაქვს მიღებული.

სისტემატიურად ეწყობოდა წიგნების პრეზენტაციები. სისტემატიურადვე ქვეყნდება ჟურნალ-გაზეთებში მასალები, რეცენზია-შეფასებები, ცალკეული სტატიები და ა. შ.

2007 წლის 29 მაისს, ქალაქ თბილისში, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიამ, ფაზისის საერო აკადემიამ საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ, აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემიამ და გამომცემლობა **„ინოვაციამ“** ერთობლივად მოაწყვეს შვიდტომეულის **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდა 300-მდე მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და აკადემიკოსი. სიტყვით გამოვიდა 32 მათგანი. ნაშრომი ერთხმად დიდად მოწონებულ იქნა.

**„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „გადატრიალება ენათმეცნიერებაში“, „გენიალური ნაშრომი“, „უნიკალური ნაშრომი“, „უებრო ნაშრომი“, „ტიტანური ნაშრომი“, „ზეტიტანური ნაშრომი“, ფანტასტიკურიც და საკვირველიც“, „წიგნი გიგანტი“, „ახალი კოლორიტული სიტყვა ენათმეცნიერებაში“. „წიგნი, რომლის მსგავსი ენათმეცნიერებაში არ არსებობს“, „სამაგიდო წიგნი“, „დიდი ქართული მოვლენა“, „წმინდა ქართული საქმე“, „წიგნი, რომელზედაც დისერტაციები დაიწერება, რომელზედაც თაობები აღიზრდებიან“...** – ასეთია მოკლედ ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომების შეფასებები. მათი ავტორები არიან ფილოლოგიისა და სხვა დარგების მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და აკადემიკოსები: ნაპოლეონ ლემონჯავა, ტიტე მოსია, ოთარ მიქიაშვილი, გიზო ჭელიძე, ირინე ასათიანი, ლულუ აბულაძე, ვლადიმერ ალფენიძე, ჯემალ ჯინჯიხაძე, ციალა მესხია, კლიმენტი შელია, ნუგზარ ნადარაია, ვაჟა ეგრისელი, რევაზ მიშველაძე, სოგრატ სალუქვაძე, იაკობ ახუაშვილი, შოთა გოგოხია, ვლადიმერ რამიშვილი, გია კვაშილავა, სიმონ ზაქარაია, მამა ავთანდილ გიორგობიანი, ჯიბო ლომაშვილი, ალექსანდრე კრავეიშვილი, ზურაბ მინდელი და სხვა.

ზემოაღნიშნული მოკლე ინფორმაციული ხასიათის მონაცემებიც კი, ვფიქრობთ, სათანადო წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომების შესახებ.

საქმე ის არის, რომ აღნიშნული 16 დიდი მონოგრაფიიდან წიგნებად გამოცემულია მხოლოდ 5. დანარჩენებიდან, პირველ რიგში საშურია გამოიცეს შემდეგი ნაშრომები:

მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, **„ენის წარმოშობის საფუძვლები“** (1 ტ., 6 ენაზე);

მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, **„მეგრული ენა (ლექსიკოლოგია, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სიტყვათწარმომავლობა)“**, (ერთტომეული);

მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია და სხვები, **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“** (ოცტომეული);

მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია და სხვები, **„მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულის”** (სავარაუდოდ, 25.000-ტომეულის) პირველი 1000 ტომის სანიმუშო ტიპური მაგალითი 7 ტომად.

იმედია, რომ საქართველოში მრავლად არიან ჭეშმარიტად პატრიოტი და განათლებული მეცენატი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ და სურვილი აღმოაჩნდებათ, გადაწყვიტონ ეს საშვილიშვილო და სახელის უკვდავსაყოფი საქმე. ამიტომაც მივმართავთ მათ ამგვარი თხოვნით, ჩვენის მხრივაც შემდეგი პირობით: 1. გამოცემულ წიგნებში, ავტორებთან ერთად, შეტანილი იქნება გამომცემლების ბიოგრაფიები და ფოტოსურათები; 2. გამომცემლებს, საზოგადოებრივი ღვაწლისათვის, მიეცემათ რეკომენდაცია არჩეულ იქნან საქართველოს მეცნიერებათა აკადემია **“აია“**-ს აკადემიკოსად; 3. გამოცემული წიგნების 40 პროცენტი განეკუთვნება გამომცემლებს; 5. მოცემული ნაშრომისადმი ნებისმიერი პრემიის მინიჭების შემთხვევაში, მისი 20 პროცენტი ჯილდოდ განეკუთვნება გამომცემელს.

მაშ ასე, გიწვევთ ჩვენი უთუოდ საყურადღებო საენათმეცნიერო ნაშრომების გამოსაცემად, თანამონაწილეებად, ჭეშმარიტ მამულიშვილებსა და ერისკაცებს ბატონებო და ქალბატონებო.

დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით

**მამანტი ძაძამია,**
**8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 5 უნივერსიტეტის პროფესორი;**

**ცირა ძაძამია,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 5 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 3 უნივერსიტეტის პროფესორი**

**წალენჯიხის რაიონი, სოფელი ეწერი**

# „მოტივტივე ელიტა“ და ქართული ენა

ცოტა ხნის წინ შემთხვევით წავაწყდი 30-მდე უცხო სიტყვას ქართული შესატყვისებით. ამ უცხოურ, სიტყვებს, გარკვეული კატეგორია ადამიანებისა, ხშირად იყენებენ საუბარში, რათა ხაზი გაუსვან თავიანთ **„ზეგანვითარებულობას”?!**

აი, ეს სიტყვები:

*სეილი – ფასდაკლება;*
*იმპლამეტაცია – დანერგვა;*
*სენსიტიური – ფაქიზი;*
*კრედიბილური – სანდომიანი;*
*კონსისტენტური – მყარი;*
*ადაპტაცია – შეგუება;*
*სმაილი – ღიმილი;*
*ფეიკი – ყალბი;*
*კონსისტენცია – შემადგენლობა;*
*კრეატიული – შემოქმედებითი;*
*სუპერვაიზერი – ზედამხედველი;*
*ეგზისტენციალური – არსებითი;*
*მენეჯერი – მმართველი;*
*ივენთი – ღონისძიება;*
*მანუელი – სახელმძღვანელო;*
*დატესტვა – შემოწმება;*
*არტისტი – ხელოვანი;*
*კორექცია – შესწორება;*
*იმიჯი – სახე;*
*მესიჯი – შეტყობინება;*
*სტაფი – თანამშრომლები;*
*ტრენინგი – ვარჯიში;*
*ქასთინგი – შერჩევა;*
*ვიზიტორი – სტუმარი;*
*ოფცია – არჩევანი.*

გამახსენდა ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდი, გასული საუკუნის 80-იანი წლები, თუ რა დიდი შემართებით ებრძოდა ახალგაზრდობა ყოველ ასეთ გამოვლინებას, რათა დაეცვათ მშობლიური ენის სიწმინდე!

დღესაც ბევრი არ ეგუება და იბრძვის ბარბარიზმის ასეთი შემოტევის წინააღმდეგ. მათ შორის ისინიც კი, ვინც 90-იან წლებში ყველაფერი გააკეთა, ნამდვილად ეროვნული სულისკვეთების მატარებელი ხელისუფლების დასამხობათ, რის შედეგებსაც ვიმკით კიდეც.

ჩვენი 23-წლიანი ტანჯვა-წამების ხარჯზე ამოტივტივებულ, **„პოლიტელიტის“, „ექსპერტელიტის“, „ჟურნალისტელიტის“** თუ **„უფლებადამცველელიტის“** სასაუბრო ლექსიკონში ხშირად გაისმის რაც შეიძლება მეტი უცხო სიტყვების ბრახაბრუხი. ამ მართლაც და უწიგნურებს ჰგონიათ, რომ რაც მეტ უცხოურ სიტყვას გამოიყენებენ საუბარში, უფრო მეტად განათლებულნი გამოჩნდებიან?!!

იმისათვის, რომ უბრალოდ გავერკვეთ, თუ რა განსხვავებაა ქართული სულის მატარებელ ხალხსა და ამ **„მოტივტივე ელიტას“** შორის ზემოთჩამოთვლილი სიტყვებიდან შევადგინოთ მოკლე უწყინარი ტექსტი (ბუნებრივია არაიდეალური), რომელიც ჩვენს ქართულ ენაზე ასე გამოიხატება:

**„მმართველმა ზედამხედველებსა და თანამშრომლებს ასე მიმართა:**

**ჩვენთან უნდა დაინერგოს ფასდაკლების ღონისძიებები. ეს კი მეტად ფაქიზი საკითხია და არსებითად ცვლის ყველაფერს. საჭიროა, რომ სტუმრებს მოვემსახუროთ არა ყალბი, არამედ სანდომიანი ღიმილით. იმისათვის, რომ მყარად (თავდაჯერებულად) გამოიყურებოდეთ სტუმრებთან ურთიერთობისას საჭიროა, როგორც ხელოვნები, შემოქმედებითად მიუდგეთ საკითხს. ამისთვის გაივლით შესაბამის ვარჯიშებს, რის შემდეგაც მოხდება საუკეთესოების შერჩევა და დაწინაურება. მთელ შემადგენლობას არჩევანი გექნებათ შესწორება შეიტანოთ ჩვენი სამსახურის სახის სრულყოფაში. სახელმძღვანელოდ გქონდეთ და შეეგუეთ იმას, რომ ყოველდღიურად მოხდება შემოწმება საუკეთესო თანამშრომლების გამოსავლენად და წასახალისებლად, რის შედეგებსაც ცალკეული შეტყობინებებით გაიგებთ.“**

ახლა ვნახოთ იგივე ტექსტი, როგორ გამოიყურება **„მოტივტივე ელიტის“** ლექსიკონით:

**„მენეჯერმა სუპერვაიზერებს და სტაფს ასე მიმართა:**

**ჩვენთან უნდა იმპლატაცირდეს სეილის ივენთები. ეს კი მეტად სენსიტიური საკითხია და ეგზესტენციალურად ცვლის ყველაფერს. საჭიროა ვიზიტორებს მოვემსახუროთ არა ფეიკით, არამედ კრედიბილური სმაილით. იმისთვის, რომ კონსისტენტურად გამოიყურებოდეთ ვიზიტორებთან ურთიერთობისას საჭიროა, როგორც არტისტები კრეატიულად მიუდგეთ საკითხს. ამისთვის გაივლით შესაბამის ტრენინგებს, რის შემდეგაც მოხდება ქასთინგი და საუკეთესოთა დაწინაურება. მთელ კონსისტენციას ოფცია გექნებათ კორექცია შეიტანოთ ჩვენი ოფისის იმიჯის სრულყოფაში. მანუელად გქონდეთ და ადაბტაცია მოახდინეთ იმასთან, რომ ყოველდღიურად მოხდება დატესტვა საუკეთესო სტაფის გამოსავლენად და წასახალისებლად, რის შედეგებსაც ცალკეული მესიჯებით გაიგებთ.“**

რას იტყვით, შესანიშნავი გამოსვლა იქნება მათი მხრიდან?!! ჩემს მხრივ კი ასე მივმართავ ასეთ **„ელიტას“** – ვაი თქვენს პატრონს!!!

დიახ! **„ვაი თქვენს პატრონს!“**, ზუსტად ასე მიმართა პეტერბურგის ჟანდარმერიის უფროსმა ჩაფრებს (პოლიციელებს), რომლებიც (25 კაცზე მეტი) ვაჟა-ფშაველამ და მისმა ძმამ სასტიკად სცემეს ერთ-ერთ სამიკიტნოში. ნაცემი ჩაფრები ჩიოდნენ გვცემეს დაიჭირეთო, რაზეც ჟანდარმერიის უფროსმა ასე უპასუხა: **„ვაი თქვენს პატრონს! მერე მომავალი თაობები რას იტყვიან, როცა წაიკითხავენ ორმა კაცმა 25 ჩაფარი (პოლიციელი) სცემაო?!“** ვაჟა და მისი ძმა კი დიდი მოწიწებით გამოაცილა! ჟანდარმერიიის უფროსიც კი მხოლოდ მომავალზე ფიქრობდა!

და თქვენზე რას იტყვიან მომავალი თაობები??? თუმცა თქვენ ხომ ზედაპირზე დღევანდელი **„ტივტივი“** ყველაფერს გირჩევიათ?!!

**გია ჩუთლაშვილი**

# ხვამლის მთის გულში ხელუხლებელი მიწისქვეშა ქალაქია?

***“გამოქვაბულში სპელეოლოგი ჩავუშვით, რომელმაც 5-6 მ-ზე ცენტრალური დარბაზი აღმოაჩინა, რომლის ფართობი დაახლოებით 15-20 კვმ-ია. ცენტრალური დარბაზი სხვა გამოქვაბულებში გადის. სამწუხაროდ, ყველა გასასვლელი ამოქოლილია”***

ხვამლის მთავარ ციხე-ქვაბულში, მიწის პირიდან დაახლოებით 50 მ-ზე, 1939 წელს ცნობილი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე ავიდა. მერე განაცხადა,– იქ არაფერიაო... მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასე როდია – ხვამლის ფანტასტიკურ კარს მიღმა ნამდვილად არის რაღაც მნიშვნელოვანი, რაც ჯერ არ ვიცით. 2007 წელს ხვამლი არქეოლოგმა გურამ გაბიძაშვილმა დაზვერა და ხვამლის მთავარი ციხე-გამოქვაბულის კედლებზე დახატული ციურ მნათობთა სქემა აღმოაჩინა: ცხენზე ამხედრებული ძველეგვიპტური ისიდა და ოსირისი (ნაყოფიერებისა და წყლის ღმერთები). შემდეგ ხვამლის შესახებ რეჟისორმა დავით გოგუაძემ დოკუმენტური ფილმი გადაიღო, სადაც სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს სქემა 5604 ვარსკვლავის განლაგებას ასახავს, – სწორედ ეს წელიწადი მიიჩნევა ქართველების წელთაღრიცხვის დასაწყისად, ვიდრე ქრისტემდე. და კიდევ ამ ექსპედიციის ერთი საოცარი ნიუანსიც: როგორც ბერძნული მითები ჰყვებიან, ხვამლის მთაზე მიჯაჭვული პრომეთეს გასათავისუფლებლად გმირი ჰერაკლე გაიგზავნა. მას ებრძანა, რომ პრომეთეს საპოვნელად მდინარე ფასისს (რიონს) აჰყოლოდა, იქ გამოქვაბულიდან გადმომდინარე ჩანჩქერი უნდა გადაეგდო, გამოქვაბულში შესულიყო და პრომეთე გაეთავისუფლებინა – ადგილობრივებმა მართლაც მიასწავლეს ექსპედიციას გამოქვაბული, საიდანაც წყალი წელიწადის სხვადასხვა დროს ხან ცხენისწყლის ხეობისკენ გადავარდება, ხანაც რიონისაკენ. ამ ექსპედიციამ ზღვის დონიდან 1888 მ-ზე არქეოლოგიური ნიშნული გააკეთა, – იქ უცნაური რაღაც იყო. მიწის ზედაპირზე ოდნავ გამოკვეთილი ნახევრად წრიული ქვის ყორის მსგავსი, რომელსაც ზემოთ სამი მხრიდან პიტალო ეხები (კლდის მასივები) გადმოჰფარებოდა. თუმცა იქაურობას დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ბალახი ფარავდა (ხალხი ამბობს, რომ ეს ბალახი იმ ადგილას ამოდის, სადაც ამირანის (პრომეთეს) სისხლი წვეთავდა). სულ ახლახან კი ხვამლზე მორიგმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამაოგნებელი აღმოჩენები გააკეთა. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ხვამლის ექსპედიციის ხელმძღვანელთან, არქეოლოგ დავით სულხანიშვილთან:

“მიწის ზედაპირზე ოდნავ გამოკვეთილი ნახევრად წრიული ქვის ყორის მსგავსს, დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ბალახი ფარავდა. ხალხი ამბობს, რომ ეს ბალახი იმ ადგილას ამოდის, სადაც ამირანის (პრომეთეს) სისხლი წვეთავდა”...

– ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თითქოს არაფრისმთქმელი მიწისზედა წრიული რელიეფის გათხრისას მთელ კომპლექსს წავაწყდით. ის ორი წრიული და ერთი ნახევრად წრიული მშრალად ნაგები ქვის გალავნისაგან შედგებოდა. მსგავს წრიულ, ძვ.წ.-ით პირველი ათასწლეულის ნაგებობებს აფხაზეთშიც ვხვდებით, მაგრამ არა ისეთ დასრულებულ კომპლექსებს, როგორიც ხვამლის მთაზეა. რაც მთავარია, ყველა ეს კომპლექსი ებჯინება მღვიმე-გამოქვაბულს, რომლებიც ამჟამად ამოქოლილია.

ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე 11 კომპლექსი აღმოვაჩინეთ და ყოველი მათგანი დაახლოებით სიგრძით 1,5 მ, სიგანით 70 სმ და სისქით 40 სმ ლოდით არის ამოქოლილი. შემდგომში კი, საუკუნეების განმავლობაში, შესასვლელები მიწამ, ბალახმა და ეკლიანმა ბუჩქებმა დაფარა – ამ ადგილს შემთხვევით კი არ ეწოდება მაყვლოვნის გორა.

– დაახლოებით რაღაც ისეთს ამბობთ, რაც ზღაპრებშია აღწერილი.

– ზღაპრებში ძირითადად ის არის აღწერილი, რაც რეალობაში ხდებოდა. გამოქვაბულში სპელეოლოგი ჩავუშვით, რომელმაც 5-6 მ-ზე ცენტრალური დარბაზი აღმოაჩინა, რომლის ფართობი დაახლოებით 15-20 კვმ-ია. ცენტრალური დარბაზი სხვა გამოქვაბულებში გადის. სამწუხაროდ, ყველა გასასვლელი ამოქოლილია – ხვამლი კირქვოვანი მასისგან შედგება, რომელიც, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაიშალა.

– ეს აღმოჩენები ბუნებრივად მოითხოვს, რომ ხვამლის არქეოლოგიური შესწავლა გაგრძელდეს.

– კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს გადაწყვეტილი აქვს ხვამლზე მომავალი ექსპედიციების დაფინანსება. მხარში გვიდგას კომპანია “არდი”... თუმცა მეფეთა განძის აღმოჩენაზე თავს ვერავინ დადებს. არა მგონია, რომ რასაც აქ მივაგნებთ ან უკვე მივაგენით, განძზე ნაკლები ღირებულებისა იყოს, – დასტურდება, რომ ჩვენი წინაპრები დაახლოებით ქრისტემდე VIII-VII საუკუნეებში თითქმის 2000 მ სიმაღლეზე მიწისქვეშა და მიწისზედა ქალაქებს აგებდნენ. ქვის ხანის სპეციალისტებმა დაახლოებით, მილიონ ორასი ათასი წლის ქვის იარაღიც აღმოაჩინეს. მასთან ერთად კი კერამიკის ჭურჭელი, ობსიდიანის დანა და ჰემატიტის საკულტო ქვაც იყო. ამ ყავისფერ ქვას ძველ საბერძნეთში, დელფოს სამისნოსა და ძველ ეგვიპტეში ამულეტად იყენებდნენ. თქმულებების მიხედვით ეგვიპტის ნაყოფიერების ღვთაება ისიდას, ზეციდან მიწაზე დაშვებისას უბედურებისაგან სწორედ ეს ქვა იცავდა.

ჩვენი ხვამლის ქვა ხელოვნების ნიმუშია – დაახლოებით ერთსანტიმეტრიან ქვაზე 8 ოთხკუთხედი და 6 სამკუთხედია ამოკვეთილი, ამ უკანასკნელებში კი ფიგურებია ჩახაზული, რომელსაც ახლა ვშიფრავთ. ეს მხოლოდ დასაწყისია, – ველით, რომ ხვამლის მთა სულ უფრო მეტად გაგვიხსნის გულს და მეტ საოცრებებს დაგვანახებს.

ეს აღმოჩენები ბატონი გურამ გაბიძაშვილის ხსოვნას მივუძღვენით. სწორედ მას ეგულებოდა ხვამლის მთის გულში ხელუხლებელი მიწისქვეშა ქალაქი... ბედნიერება იქნება, თუკი ეს ასე იქნება და მისი აღმოჩენის მოწმე ჩვენ გავხდებით.

***“ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადაარჩინოს...”***

ძველი ბერძნული მითები გვამცნობენ, რომ პრომეთე ღმერთებისთვის ცეცხლის მოპარვისთვის, ზევსის განჩინებით, კავკასიონის მთაზე იყო მიჯაჭვული. პრომეთე იგივე ამირანია, რომელსაც გულ-ღვიძლს ყორანი უკორტნიდა... ქრისტემდე III საუკუნეში აპოლონ როდოსელი წერდა, არგონავტებს მდინარე ფაზისის (რიონი) გადაცურვისას მთიდან პრომეთეს გმინვა ესმოდათო. იმ მთის აღწერილობა კი ხვამლისას ემთხვევა. XIX საუკუნის 50-იან წლებში პრომეთესა და არგონავტების კვალის აღმოსაჩენად ხვამლი იტალიელმა მკვლევარმა პიზაგალიმ დალაშქრა. ის წერდა, – გამაოცა იმან, რომ აქაურებმა მშვენივრად იცოდნენ პრომეთეს ამბავი და განუზომლად უხაროდათ, როცა ნადირობისას სვავებს ვხოცავდითო. არსებობს სხვა თქმულებაც: ხვამლს ნოეს კიდობანიც მიადგა და მის მიდამოებში ქართველების პირველი წინაპარი დაესახლა (ქართველები ნოეს ერთ-ერთი ძის, იაფეტის შთამომავალნი ვართ!). ვახუშტი ბატონიშვილი კი წერს: ხვამლის კლდეში არის “ქვაბი გამოკვეთილი, მტერთაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები... ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადაარჩინოს”. ხვამლის მისტიკამ ჟიულ ვერნამდეც კი მიაღწია და თავის რომანში **“შეუპოვარი კერაბანი”** აღწერა. მიუხედავად ამისა, ხვამლი პროფესიონალურად არ შესწავლილა, ალბათ იმიტომ, რომ სტალინის ბრძანებით (ალბათ, სჯეროდა, რომ იქ განძი იყო გადანახული) ხვამლის მთავარ ციხე-ქვაბულში 1939 წელს ცნობილი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე ავიდა, რომელმაც განაცხადა,– იქ არაფერიაო... მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასე როდია – ხვამლის ფანტასტიკურ კარს მიღმა არის რაღაც მნიშვნელოვანი, რაც ჯერ არ ვიცით.

**ეთერ ერაძე**

## პოეზიის კუთხე

*სათრეველები*

გაიაფების ნაცვლად გაძვირებულ
ტარიფებზე, ხიდაშელის
ხიდაშელით ჩანაცვლებაზე,
„დარდუბალასა“ და სისხლიან
დროშებზე.

**კახის კრახი**

მობურთალსა მოედანი რომ ცხოვრების გექცეს წესად,
რაც დაგვპირდი, შეასრულე, ხელს გაძლევს, თუ არ გაძლევსა!
„ხან ისე და ხან ასეო,“ თუმცა სწამდა მანასესა,
შენსავ კარში ბურთის ჩაჭრა ნუ დაგჩემდა კალაძესა!
2012-ს ჯახი შერჩა კვეხნით და ტრაბახით,
2015-ს კახი – ტარიფების სრული კრახით!..

ვედრება

ღმერთმა ნუ ჰქმნას, ფუტკრის ბზუილს ხარაბუზა ხმით ახშობდეს,
იურისტი მეომრობდეს, მინისტრობდეს, ხიდაშლობდეს,
აგვარიდე, ზეციერო, სხვის სკამებზე ხამად მყოფებს,
განდიდების მძიმე სენით ღრმად შეპყრობილ ავადმყოფებს!

სახადი

სახადად შემხვდა
დღეს ახალი გადასახადი;
უკანასკნელო ჩემო თეთრო,
გტოვებ, ნახვამდის!

კითხვა ბატონ დავით
უსუფაშვილს

თუ ნეპოტიზმი არ გაგჩენია,
სპიკერო, თინა რადგან შენია
და პარლამენტში „რესპის“ ჯერია,–
თამარი ვისი ხიდაშელია?

ერთობა

ხელფასი არ ეთმობათ,
პენსია არ ეთმობათ,
ვიკვებებით მხოლოდ ბალანდით.
მაშ, რაში გვაქვს ერთობა?
პარლამენტი ერთობა,
ძველმოდურად ერთობა,
ხან „დიდების ზღაპრით,“ ხან
„დარდუბალათი.“

ზედახორა

ასე რამ გააღორა,
ვინც არად აგდებს ფარსაგს?
დაეტყო ზედახორა
ქვეყნის ფასადს და მანსარდს.
ხალხი გახლიჩა ორად,
ორად კი არა, ასად,
სკამებისათვის ბრძოლამ
სიკვდილ-სიცოცხლის ფასად!

დროშები

შიმშილითა და წყურვილით
თუ დაიბინდა გონება,
მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი
ხდებიან შთამაგონებლად,
რევოლუციის დროშებით
ვინ სად ჩამარხონ მონებმა!

**ალექსანდრე შენგელია**

ართ მარგალ მოკითხ სკაიპის:
*– მუჭო რე დავით პატონ ჩქინ*
*ქიანაშ საქმე?*
*– მა უპასუხი:*

ჩქინ ქიანაქ ქინარშვინუ,
გვალო გითილ წკვერემიშა!
თეს ვართ ბიძინა ოხვარუ,
ვართი ელახანგა მიშა –
სოიშა რუსი ვამურს‘ დო,
ვამომგანა პაღურიშა!
ჩქი ვორეთ‘ნ, თეჯგუა რინა,
ვეგიბირე ფანდურიშა –
„ჰოუ ნანა, სოულ ნანა?
ჩელას მეპუნქ დარჩელიშა!“
ანარკიას აკოფხვადუთ,
დღაჭვილეფი, შქა სერიშა!
სერ რე მარა, მტერს თეჯგუა,
მურიცხ ვემიოხე ცას...
კოჩშა ვეკითხირე ჭკუა,
მი მოჭიშაფ თეჯგუა დღას!
ჩქინ, უჩა დღაშ მიმაჯინე,
ეშმაკიქ ეყონუა –
მის გუგონებ ამდღარ დღაშა,
ოსურიში – ოსურიშა,
კოჩიშ – კოჩშა გეყონუა!
ქიმიოღვარ‘ დო ქიმიოთვალუ –
„ვამკონია თქვანწკმა რინა!
თქვა ქოიღუდან, თქვან სამოთხე,
ჯოჯოხეთის მიღდას ბინა!
თქვან წაულაშ მემაჯინე,
ვობირდინა, ვოლიგვინა!“
ანწ, სი იფირქ მუჭო მეურს,
თე ქიანაშ დღა დო სერი,
მინს, ქა ქიგიოტახეს,
მინს, კინჩხი დო მინს კისერი!

* * *

ჩქინ ქიანაქ ქინარშვინუ,
გვალო გითილ წკვერემიშა!
თეს ვართ ბიძინა ოხვარუ,
ვართი ელახანგა მიშა –
სოიშა რუსი ვამურს‘ დო,
ვამომგანა პაღურიშა!

**დავით შოთაძე**
კობლენცი, გერმანია

# "უახლოეს მომავალში "რესპები", "ალასა" და "მარგველა" ერთ კოალიციაში მოგვევლინებიან" – რა ხდება მმართველ კოალიციაში?!

***ლევან ბერძენიშვილი: "მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ჩვენ ინფორმირებული და შეთანხმებულები ვიყავით. დავით უსუფაშვილიც საქმის კურსში იყო."***

***"მე ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელი ვარ, ზურაბიშვილი კი კოალიციაში ერთ-ერთი შავი ლაქაა. დანარჩენებს რაც შეეხება, განცხადების გაკეთების შემდეგ, საღამომდე, სხდომათა დარბაზში ვიჯექი და თუ რომელიმე კოლეგამ ჩემი ნათქვამი არასწორად გაიგო, მოსულიყვნენ და განვუმარტავდი. ამის ნაცვლად, მხოლოდ მათი შეურაცხმყოფელი განცხადებები მესმოდა, ამიტომ ვფიქრობ, აქ სხვა მოვლენებთან გვაქვს საქმე"***

როგორც მოსალოდნელი იყო, სამთავრობო კარუსელი კიდევ ერთხელ დატრიალდა. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი შეიცვლება თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ამასობაში პოლიტიკურ არენაზე პროცესები საინტერესოდ ვითარდება. იმდენად საინტერესოდ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ერთგვარი გაკვირვებითა თუ წყენით გამოეხმაურა მორიგ ცვლილებებს: – **"ჩემი დელეგაციის თანმხლები პირები იხსენებდნენ იმას, რომ საკმარისია უცხოეთში წავიდეთ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საქართველოში."**

სამთავრობო ცვლილებებამდე ცოტა ხნით ადრე, თავდაცვის მინისტრმა **თინა ხიდაშელმა** (ვაი, ჩვენს დღეს!? – **"ილორი"**) ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო და 4 მილიონი ლარის მითვისება-გაფლანგვისთვის ბრალდებული თავდაცვის მაღალჩინოსნები, რომელთა დაკავება პოლიტიკურად ირაკლი ალასანიას თვდაცვის მინისტრობიდან და კოალიციიდან წასვლას დაუკავშირდა, თანამდებობზე დააბრუნა, რასაც კოალიციაში განსხვავებული შეფასებები მოჰყვა.

**"ზურაბიშვილი ჩემი კოლეგა არასოდეს ყოფილა და მადლობა თქვას, რომ ჩვენს გუნდში მოვიხსენიებთ. მე ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელი ვარ, ზურაბიშვილი კი კოალიციაში ერთ-ერთი შავი ლაქაა. დანარჩენებს რაც შეეხება, განცხადების გაკეთების შემდეგ, საღამომდე, სხდომათა დარბაზში ვიჯექი და თუ რომელიმე კოლეგამ ჩემი ნათქვამი არასწორად გაიგო, მოსულიყვნენ და განვუმარტავდი. ამის ნაცვლად, მხოლოდ მათი შეურაცხმყოფელი განცხადებები მესმოდა, ამიტომ ვფიქრობ, აქ სხვა მოვლენებთან გვაქვს საქმე".** – ასე უპასუხა პარლამენტარმა თამაზ მეჭიაურმა რესპუბლიკელი დათო ზურაბიშვილის განცხადებას. **"ეჭვი მაქვს, თამაზ მეჭიაურისთვის "ენჯეოელი", "სოროსელი," იელოველი," "სომეხი" და "პიდარასტი" დაახლოებით ერთი და იგივეა** (ჩვენდა საბედნიეროდ – არა მხოლოდ მეჭიაურისათვის – **რედაქცია). უკუღმართ დროებას რა ვუთხარი, თორემ მე და ეს კაცი რანაირად უნდა ვითვლებოდეთ ერთ გუნდში?"** – თავის მხრივ ეს განცხადება ზურაბიშვილმა მეჭიაურის პრეზიდენტის არაკორექტული მოხსენიების საპასუხოდ გააკეთა.

**"უახლოეს მომავალში "რესპები" "ალასა" და "მარგველა" ერთ კოალიციაში მოგვევლინებიან, ეს იქნება ბიძინას სათადარიგო თამაში, ანუ ხალხი ვისთანაც შეძლებს თავისის დალაგებას, განსხვავებით "ნაციონალური მოძრაობისგან", ყველაფერი აქეთ მიდის..."** – ამგვარი სტატუს-პროგნოზი დაწერა პირწავარდნილმა ნაცადვოკატმა გოგა ონიანმა საკუთარი **"ფეისბუქის"** გვერდზე.

სხვათა შორის, საქარველოს პრეზიდენტის ოპოზიციურ ძალებთან შესაძლო პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ პროგნოზი პირველი არ არის. გიორგი მარგველაშვილის **"ნაციონალური მოძრაობასთან"** შესაძლო პოლიტიკურ გაერთიანებაზე საუბარი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაიწყო, რასაც **"ილორმა"** არაერთი მამხილებელი წერილი მიუძღვნა. მაშინ სხვა მედიასაშუალებებშიც აქტიურად იწერებოდა იმის შესახებ, რომ მარგველაშვილი, ირაკლი ალასანია და **"ნაციონალური მოძრაობა"** მომავალ არჩევნებში კოალიციის სახით მიიღებდნენ მონაწილეობას. ექსპერტების ვარაუდით, იმ ფონზე როცა **"ქართული ოცნების"** რეიტინგი მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მარგველაშვილის პირიქით – გაიზარდა (ვითომ?!), მსგავსი გაერთიანება მარგველიშვილის სასარგებლოდ იმუშავებდა. იმ პერიოდში პრესა გიორგი მარგველაშვილის მაშინდელი მრჩევლის – ვანო მაჭავარიანისა და **"ნაციონალური მოძრაობის"** წევრებს შორის უკრაინაში გამართული საიდუმლო შეხვედრების შესახებაც წერდა. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად ვანო მაჭავარიანმა პოსტი დატოვა, ხოლო პრეზიდენტის გარშემო მსგავსი შინაარსის მითქმა-მოთქმა შეწყდა... თუმცა, დროებით.

რის საფუძველზე მიიჩნევს მარგველაშვილი-ალასანია-რესპუბლიკელების შესაძლო პოლიტიკურ თანამშრომლობას, ამის გასარკვევად ჟურნალისტი გოგა ონიანს დაუკავშირდა: – **"ეს არის ჩემი ანალიზი ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. თავდაცვის ამჟამინდელმა მინისტრმა თანამდებობზე აღადგინა ყოფილი თანამშრომლები, რომლებსაც ბრალი აქვთ წაყენებული 4 მილიონი ლარის მითვისება-გაფლანგვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სამთავრობო გუნდის სხვა წევრები, მათ შორის, იუსტიციის მინისტრი არ ეთანხმებოდა, ეს გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება გასაგები იქნებოდა თუ მართლმსაჯულება ამ ადამიანების უდანაშაულობას დაადგენდა, მაგრამ საქმე ჯერ დასრულებული არ არის და კითხვის ნიშნებიც არსებობს. ამავდროულად, ძალიან ხშირად ვხედავთ, რომ ჯაჭვლიანის, კობახიძის, ბესელიას, ახლა უკვე მეჭიაურის მხრიდან პრეზიდენტის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე "რესპუბლიკელებს" განსაკუთრებული რეაქცია აქვთ და ეს პირველი შემთხვევა არ არის. მათი პოზიცია ხშირად ემთხვევა ალასანიასა და პრეზიდენტის პოზიციას. ამიტომ, ლეგიტიმურად ჩნდება აზრი, რომ ახლო მომავალში ეს ადამიანები ღარიბაშვილს გამოეყოფიან და ცალკე კოალიციას შექმნიან."**

რამდენად მოსალოდნელია მსგავსი პოლიტიკური გაერთიანება ამის გასაგებად ჟურნალისტი ადრესატებს – **"რესპუბლიკური"** და **"თავისუფალი დემოკრატების"** წევრებს დაუკავშირდა. ორივე პარტიამ კატეგორიულად გამორიცხა რაიმე სახის შესაძლო პოლიტიკური გაერთიანება და ეს ოპონენტების ფანტაზიით ახსნა.

**ლევან ბერძენიშვილი, "რესპუბლიკური პარტია":** – მაპატიეთ, მაგრამ ეს იმდენად ღრმა სისულელეა, რომ ამას ნუ გაიმეორებთ. ჩვენ მათთან არ გვინდა და ვერ ვხვდები რატომ გვიბიძგებენ. ოპონენტები ამას იმიტომ აცხადებენ, რომ ოპონენტები არიან და ტყუიან. სისულელეებს ამბობენ, მაგრამ ხომ შეიძლება ხანდახან მაინც ნათქვამში აზრი იყოს? ეს სრული სიბრიყვე არის.

**– საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, არაერთხელ გაჟღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "რესპუბლიკელები" კოალიციიდან გამოყოფას აპირებენ. მომავალ არჩევნებში კოალიციასთან ერთად გიხილავთ თუ ცალკე?**

– თქვენც ხომ ხედავთ, რომ ეს ვარაუდები არ დადასტურდა. ჯერჯერობით **"რესპუბლიკური"** პარტია კოალიციაშია და იქ დარჩენას აპირებს. ზოგიერთებს ძალიან არ უნდათ ჩვენი იქ ყოფნა, მაგრამ... ჩვენ კოალიციის სერიოზული ძალა ვართ. მისი დასავლური ღირებულებებისა და პრინციპების დამცველი პარტია ვართ. არ დაგავიწყდეთ, რომ კოალიცია სამმა პარტიამ შექმნა. პირველი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დაასახელა, სწორედ **"რესპუბლიკური"** პარტია იყო (ივანიშვილმა **"დაასახელა"**, თუ ამერიკელებმა **"დაასახელებინეს"**, ეს ჯერ კიდევ საკითხავია – რედაქცია). უკვე 4 წელია ეს ჭორები მესმის და მომავალშიც იქნება.

**– რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებას მორიგ სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები სწორედ მაშინ ხდება, როცა ქვეყნიდან გასულია. თითქოს ნაწყენი იყო...**

– მე ამ განცხადებას არ ვიცნობ. ბატონი უსუფაშვილი იმ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა, ახლა აქ არის და თავად მას შეეკითხეთ. მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ჩვენ ინფორმირებული და შეთანხმებულები ვიყავით. დავით უსუფაშვილიც საქმის კურსში იყო."

მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად გეგმავენ **"თავისუფალი დემოკრატები"**. როგორც პრესას პარტიის წევრმა ზურაბ აბაშიძემ განუცხადა, მსგავსი შინაარსის განცხადებები, თითქოს ალასანიას პარტია რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანებას აპირებს. რეალობასთან ახლოს არ არის: – **"წამოუდგენლად მიმაჩნია, რომ "რესპუბლიკელები" კოალიციას გამოეყოფიან და "თავისუფალ დემოკრატებთან" გაერთიანდებიან. ჩვენი პოლიტიკური ძალის გადაწყვეტილების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად ვაპირებთ. სხვა დანარჩენი – ვინმე გაერთიანდება ან გამოეყოფა კოალიციას, ეს მათი საქმეა."**

ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. შესაბამისად, ვინ ვისთან გაერთიანებით გამოჩნდება საარჩევნო მარათონში, ამას ახლო მომავალში შევიტყობთ.

ისე კი, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი რომ არ იცვლება – ფაქტია. ალასანიამ ბიძინა ივანიშვილის ფრთის ქვეშ ვერ მიაღწია გამარჯვებას სამეგრელოს რეგიონში და **"დიდების ლავრა"** როლანდ ახალაიას და ნაცებს დაუთმო და ნაკლებ სარწმუნოა, რომ მან დამოუკიდებელი პოლიტიკური წიაღსვლებით მიაღწიოს გამარჯვებას!

**საკ. ინფ.**

# როგორ გადაარჩინა დედამ შვილი მიწისძვრის დროს, საკუთარი სიცოცხლის ფასად



ეს ამბავი იაპონიაში მოხდა, ერთ-ერთი დამანგრეველი მიწისძვრის დროს. როცა მაშველები მორიგი სახლის ნანგრევებთან მივიდნენ, რომელიღაც ნაპრალში ახალგაზრდა ქალის სხეული დაინახეს. უცნაური პოზით იწვა – მუხლებზე დამდგარიყო, როგორც მლოცველი ადამიანი, სხეული წინ ჰქონდა გადახრილი, ხელებიც რაღაცისთვის შემოევლო. ჩამონგრეულ სახლს მისთვის თავი და ზურგი დაეზიანებინა.

მაშველთა ჯგუფის ლიდერმა დიდი გაჭირვებით გაყო ხელი კედლის ნაპრალში ქალის სხეულისკენ. იმედი ჰქონდა, რომ ცოცხალი დახვდებოდა. თუმცა მისი გაყინული სხეული მეტყველებდა, რომ მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ჰქონდა.

ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად კაცმა სახლი დატოვა, რომ შემდეგი დანგრეული სახლები დაეთვალიერებინათ. მაგრამ როგორც მოგვიანებით ჰყვებოდა, რაღაც ზებუნებრივი ძალა კვლავ ეძახდა დაღუპული ქალისკენ. ამჯერად თავადაც მუხლებზე დაეშვა, კვლავ გაყო ხელი ნაპრალში, რომ ქალის გარშემო ადგილი დაეთვალიერებინა. უცებ ჩამოქცეულ შენობაში მისი გამყინავი ხმა გაისმა: **"ბავშვი! აქ ბავშვია!"**

მაშველები მაშუნვე შეუდგნენ ნანგრევებისგან იქაურობის გასუფთავებას. ქალის სხეულის ქვეშ 3 თვის ბიჭუნა იწვა, ფერად საბანში გახვეული. როგორც ჩანდა, ქალს საკუთარი თავი გაეწირა შვილის გადასარჩენად. როცა სახლი დაინგრა, სხეულით გადაეფარა ბავშვს. ბიჭუნას ისევ მშვიდად ეძინა – მას არაფერი გაუგონია. დედამ საფრთხე მის ყურამდეც არ მიიტანა.

ჯგუფის უფროსმა ხელში აიყვანა და ექიმებს გადასცა. ექიმმა საბანი გახსნა, რომ ბავშვი გამოეკვლია. საბანში ბავშვის გვერდით მობილური ტელეფონი დახვდა. ეკრანზე ტექსტური გზავნილი იყო: **"თუ გადარჩები, გახსოვდეს, რომ ძალიან მიყვარხარ..."**

ეს მობილური ტელეფონი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა, ვინც ამ გზავნილს კითხულობდა, ტიროდა...

**"თუ გადარჩები, გახსოვდეს, რომ ძალიან მიყვარხარ..."** – ასეთია დედის სიყვარული!

# პროპაგანდონებზე და „ПИК"-ის პედერასტებზე!

პოპულარული ყოველკვირეული გაზეთი **„ასავალ-დასავალი"** გიგა ბოკერიას (უშიშროების საბჭოს ექსმდივანი, სააკაშვილის **„ნაცმოძრაობის"** ლიდერი და მთავარი იდეოლოგი) მეუღლის – მედიაჰოლდინგ **„ტაბულას"** მთავარი რედაქტორის თამარ ჩერგოლეიშვილის მიმართ სამართლებრივ დავას დაიწყებს. საქმე ეხება ჩერგოლეიშვილის მიერ ამას წინათ-სააკაშვილის ტელეკომპანია **„რუსთავი 2"**-ის პირდაპირ ეთერში (გაბუნია ჯულიეტოვნას საავტორო შოუ **„არჩევანში"**) გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, **„ზიზღის გამავრცელებელი და პრორუსული მედია – „ასავალ დასავალი" და „ობიექტივი"– სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან".**

თამარ ჩერგოლეიშვილის განცხადებას **„ასავალ-დასავალის"** ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე შემდეგნაირად პასუხობს:

**„გიგა ბოკერიას სუტკნეინამ და მიხეილ სააკაშვილის ხანუმამ თამარ ჩერგოლეიშვილმა, „რუსთავი-2"-ის პროგრამა „არჩევანში" უკვე მერამდენედ უსინდისოდ განაცხადა, რომ „ასავალ-დასავალი" სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.**

**ამ ბინძური ცილისწამების პასუხად და სიმართლის დასამტკიცებლად, „ასავალ-დასავალი" რედაქციაში აუდიტის მოწვევას გეგმავს.**

**აუდიტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შემდეგ, „ასავალ-დასავალი" დაიწყებს სამართლებლივ დავას იმ ცილისმწამებლებისა და პირში კუჭაშლილების წინააღმდეგ, რომლებიც მთელი ცხოვრება მართლაც ბიუჯეტის ფულებს თქვლეფდნენ და სახელმწიფო ხაზინას გასტრონომიული სურვილების დასაკმაყოფილებლად ანიავებდნენ!".**

**საქინფორმი**: ჩერგოლეიშვილსა და მის მეგობრებს – ჯულიეტოვნას ზემოაღნიშნული შოუს მონაწილეებს, რომლებიც ბნედიანი მიშკას დროს გადასახადების გადამხდელთა სახსრებით ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ სხვაგვარადაც შეიძლება იყოს, რადგან მათი მდარე ხარისხის მედია-პროდუქტი არაპოპულარული და ანგაჟირებულია, ამიტომ ქართველ ხალხში მოთხოვნით არ სარგებლობს და 100%-ით დოტაციურია (2012 წლამდე – სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შემდგომ კი დღემდე – სააკაშვილის ჯიბიდან და აშშ-ის სახდეპის გრანტებით).

ვურჩევთ **„ასავალ-დასავალს"**, შეიტანოს სარჩელი სასამართლოში და ჩერგოლეიშვილს მოსთხოვოს 40 მილიონის ოდენობის კომპენსაცია – სწორედ ამდენი გაფლანგა მისმა ქმარმა გიგა ბოკერიამ უშიშროების საბჭოს ბიუჯეტიდან ანტისახელმწიფოებრივ ანტიქართულ პროპაგანდაზე – რუსულენოვან ბლოგერებსა და ათასი ჯურის ინტერნეტ-ძუკნაზე, **„ПИК"**-სა და **ЖОП**-ზე (**„ჟურნალისტი ოლგა პანფილოვა"**), ჰაკერებზე, პედერასტებსა და სხვა ნაცანალურ პროპაგანდონებზე!

**საქინფორმის რედაქცია,**
**2015 წლის 11 სექტემბერი,**
**საქართველო, თბილისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია)



*სამწუხაროდ, საქართველოში დღეს ნაკლებად იცნობენ გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურული კრიტიკის ორიგინალური წარმომადგენლის კონსტანტინე კაპანელის (ჭანტურაიას) მდიდარ და მრავალმხრივ შემოქმედებას.*

*"შალვა ნუცუბიძის, მოსე გოგიბერიძის, სერგი დანელიასა და კოტე ბაქრაძის მსგავსად კაპანელის სახელიც უკავშირდება ევროპულ ფილოსოფიურ იდეებთან ზიარების გზით ქართული ფილოსოფიური სკოლის შექმნის ღირსეულ საქმეს. კ. კაპანელმა ქართული ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზროვნება გაამდიდრა ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფციით (ე.წ. "ორგანოტროპიზმით"). თავისი ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევით კი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში" (ნ. ტრაპაიძე, გ. ხეოშვილი, "რენესანსი ლიტერატურაში", თბილისი, 2014).*

*ამგვარი გენიალური ქართველები არად სჭირდებოდათ ამერიკელთა ბოროტი ნებით საქართველოს საჯიჯგნ-სათელად მოვლენილ დაშნაკურ ძალებს – ავადსახსენებელ სააკიანცსა და მისი ნაცბანდის "თვალსაჩინო" წარმომადგენლებს – დარჩიაშვილებს, ნოდიებს, ბოკერიებს, ზურაბიშვილებს, ძმებ ბერძენიშვილებსა და იმ არარაობებს, რომლებიც ყველა საძრახისი მეთოდებით ცდილობდნენ საქართველოს მდიდარი წარსულის წაშლას და იმ აზრის დამკვიდრებას, რომ ქართული ცივილიზაციის აღორძინება 2003 წლიდან იწყება – იმ ავბედითი დღიდან, როცა შევარდნაძემ უნიჭოდ დადგმული "ვარდების რევოლუციის" სპექტაკლით საქართველოს კისერზე სულიერ-ხორციელ წურბელებად შემოასვა ეთნიკურად და სულიერად არაქართველ მახინჯთა ბანდა. სწორედ ამიტომ აღიარებდნენ ეს არარაობები "დიდ მოღვაწეებად" მათსავით სულიერად მახინჯ "შემოქმედებს" – დეისაძეებს, ბურჭულაძეებს, გოგიბედიშვილებს, ყუბანეიშვილებს, ნოდიებს, ძმებ ბერძენიშვილებს, იმ უკუღმად მოაზროვნე გადაგვარებულებს, რომელთა მთავარ საზრუნავს ყოველივე ქართული ღირებულის განქიქება, მისი არქაულ მემკვიდრეობად გამოცხადება წარმოადგენდა და ცხვირში გვატენიდნენ გარყვნილ ე.წ. "შემოქმედთა" ნაცოდვილარებს, სადაც ღიად გაისმოდა მოწოდებები ინცესტის, სისხლის აღრევის, გარყვნილების, სოდომიის, ჰომოსექსუალიზმის, ლესბოსელობისა და სხვა უზნეობათა დაკანონებისაკენ.*

*ამის ნათელ დასტურად ვიღაც გარყვნილი პროვინციალის დეისაძის ნაცოდვილარი "საიდუმლო სირობაც" კმარა, რომლის ავტორიც თურმე მამაკაცური ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა მაშინ, როცა დედამისი პირჯვარს ისახავდა...*

*ტფუ! მართლაც სატანის ნაშობი უნდა იყოს არსება, რომელსაც ამგვარი საზიზღარი აზრი მოუვა თავში. რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი კი ამ საზიზღრობაზე ამბობდა: "კლასიკური ნაწარმოები არაა, მაგრამ წაკითხვა შეიძლებაო"...*

*ჭეშმარიტად – ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემა – რა გარყვნილიც სააკაშვილი იყო, ზუსტად იგივე გარყვნილები არიან მისი ღია თუ ფარული მხარდამჭერები!*

*ღვთის მადლით, დღეს ეს არაადამიანები უკვე ისტორიის ქარიშხალმა გადახვეტა და თუ ჯერ კიდევ დარჩენილია ქართული სულიერების დამანგრეველი ძალა ავადსახსენებელი სოროსელების – რესპუბლიკელების სახით, უეჭველია, რომ ქართველი ხალხი მათაც მალე მიუჩენს ადგილს ისტორიის სანაგვეზე და ღირსეულად გააგრძელებს გზას მსოფლიო ცივილიზაციის მწვერვალებისაკენ.*

*სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველებს შევთავაზოთ ნაწყვეტები დიდი ქართველი ფილოსოფოსისა და ლიტერატურული კრიტიკოსის კონსტანტინე კაპანელის შემოქმედებიდან, რომელიც შესულია მის ახლახან გამოცემულ წიგნში – "რენესანსი ლიტერატურაში".*

მსოფლიო ლიტერატურის მთელი ისტორიის, ან მისი რომელიმე პერიოდის მიმოხილვა ქართულად არ არსებობს. ამჟამად უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის რუსულიდან თარგმნილი ნარკვევებიც. წიგნი, რომელსაც ვაქვეყნებთ, მხოლოდ ნაწილია იმ დიდი შრომისა, რომელიც ავტორს მთლიანად გამზადებული აქვს და ელის გამოქვეყნებას. ვფიქრობთ, რომ ამ წიგნში წარმოდგენილი მსოფლიო ლიტერატურის ზოგიერთი კლასიკოსის ნაწაროებთა მხატვრული მიმოხილვა ერთგვარ სამსახურს გაუწევს ახალგაზრდობას და ლიტერატურით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ავტორის სურვილი იყო მკითხველს გაეცნო წარმოდგენილი კლასიკოსები და მათი უმთავრესი ნაწარმოებები. რამდენად მიაღწია ავტორმა მიზანს, ამის განსჯა მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვინდია. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი ცდა უნაკლო იყოს.

წიგნში განხილულია რენესანსის და მომდევნო ეპოქის რამდენიმე კლასიკოსი. საქართველოში ადრეული რენესანსის არსებობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს; სწორედ ამიტომ უსამართლობა იქნებოდა, რენესანსის კლასიკოსების მიმოხილვა შოთა რუსთაველის პოემის ანალიზით არ დაგვეწყო. შოთა რუსთაველი ხომ ქრონოლოგიურადაც და იდეოლოგიურადაც ევროპული რენესანსის დიდი კლასიკოსების წინამორბედია ლიტერატურაში. ქართული რენესანსი ევროპის ***პრერენესანსია*** დიდი ჰუმანური იდეებით და მხატვრული სახეებით.

ქართველი ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მიერ წარმოებული უკანასკნელი წლების გათხრები, მათ მიერ აღმოჩენილი დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ქართულ კულტურას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. ქართული კლასიკური ლიტერატურა და მისი დიდი წარმომადგენელი შუა საუკუნეებში – შოთა რუსთაველი იმ ჰუმანიზმისა და რენესანსის წინამორბედია, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ვხედავთ ევროპაში.

სხვადასხვა ქვეყნებში რენესანსი თავისებურია; ცხადია, თავისებურია რენესანსი საქართველოშიც; ქართული რენესანსი ძალიან ახლოა ანტიკური კულტურის წყაროებთან, შეიძლება ითქვას, უფრო ახლოა, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებისა; ქართული რენესანსი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ნაყოფია და იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შიგნით წარმოებული ბრძოლებით არის გამოწვეული ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების დიდი ინტერესი ანტიკური კულტურისადმი – მისი ფილოსოფიისა და ხელოვნებისადმი.

ქართული რენესანსი ძალიან ადრე იწყება: მისი დიდი ჰუმანიზმი ვლინდება ძველი ქართული ლიტერატურის მშვენიერ ძეგლებში. ყველაზე დიდი ძეგლი ქართული რენესანსისა არის **"ვეფხისტყაოსანი"**, რომელშიც განსახიერებულია ადამიანთა ემანსიპაციის იდეა, რაც შემდეგ საუკუნეებში აღელვებს ევროპის ხალხს, მწერლებსა და მოაზროვნეებს.

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში რენესანსი, როგორც კულტურული პროცესი, ბვრად ვერ გასცილდა საეკლესიო რეფორმაციას და თეოლოგიურ დავას, როგორც ეს ისტორიულად გერმანიაში იყო; საქართველოში რენესანსის სული განსახიერებულია რუსთაველის გმირებისათვის დამახასიათებელი ნათელი გონებით, მებრძოლი ნებით და ზნეობრივი კეთილშობილებით. მსოფლიო ლიტერატურას შეუძლია იამაყოს რუსთაველის გმირების ჰუმანური მისწრაფებებით და იდეალებით, ყოველივე იმით, რითაც მოგვიანებით ევროპის რენესანსის კლასიკოსები იყვნენ დაინტერესებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი მხოლოდ ნაწილია ჩემ მიერ შედგენილი მსოფლიო ლიტერატურბის სისტემატური კურსისა, მთელ; ნაშრომში მაინც ერთი პრობლემაა დასმული – რენესანსის პრობლემა. ამიტომ ბინებრივია, რომ მე შედარებით ვრცლად შევჩერდი ქართული კულტურის ვითარებასა და შოთა რუსთაველზე; ჩემი მიზანი იყო ხაზი გამესვა იმ ფაქტისათვის, რომ რენესანსის იდეები ქართულ ლიტერატურაში განსახიერებულია გაცილებით ადრე, ვიდრე ევროპის ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ უარყოფს ევროპის რენესანსის დიდ ემანსიპაციურ იდეალებს, ევროპელი მოაზროვნეებისა და მწერლების იდეებსა და სახეებს.

სწორედ ჩვენს ეპოქაში დაისვა რენესანსის ისტორიული ცნების გაფართოების საკითხი მხატვრულ კრიტიკასა, ესთეტიკასა და ფილოსოფიაში. მარქსიზმმა მეცნიერებასა და ფილოსოფიაში დასახა ახალი პერსპექტივები, ახალი ხედვა და თვითშეგნება, ახალი იდეები ამეტყველდა ხელოვნებასა და ლიტერატურაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში.

ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის არეები ფართოდ გაიშალა. ნათელი გახდა ქართული კულტურის ძეგლების ანტიკურობა და მაღალი ღირსება. რუსთაველის პოემის შინაგანი სიმდიდრე პირველი სხივია იმ ჰუმანიზმისა, რომელსაც შემდეგ საუკუნეებში სხვა ნიადაგზე და სხვა შინაარსით ქადაგებს დასავლეთ ევროპის რენესანსი.

**კონსტანტინე კაპანელი**
*(გაგრძელება იქნება)*

# მეცნიერი ამტკიცებს, რომ სიკვდილი არ არსებობს



რეგენერაციული მედიცინის სპეციალისტი და კომპანია Advanced Cell-ს სამეცნიერო ხელმძღვანელი რობერტ ლანცი, რომელიც ცნობილი გახდა უჯრედების კვლევის და გადაშენებადი ცხოველების კლონირებით, აცხადებს, რომ სიკვდილი არ არსებობს.

თავის წიგნში სახელწოდებით **"ბიოცენტრიზმი: ცხოვრება და ცნობიერება – სამყაროს რეალური ბუნების წვდომის გასაღები"**, ლანცი ირწმუნება, რომ სხეულის სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლე არ სრულდება, არამედ სამუდამოდ გრძელდება. მისი აზრით, სიკვდილი ილუზიაა, რომელიც ადამიანების ცნობიერში იქმნება, რადგან ადამიანი თავს თავის **"ფიზიკურ მატარებელთან"** აიგივებს.

რამდენიმე წლის წინ მკვლევარი ფიზიკით დაინტერესდა, კვანტური მექანიკით და ასტროფიზიკით და ამ დისციპლინებით გადაწყვიტა, თავის მოსაზრება დაემტკიცებინა. ლანცის ვერსიით, ცნობიერება დროისა და სივრცის მიღმა არსებობს და შეიძლება ნებისმიერ ადგილას იმყოფებოდეს: ადამიანის სხეულში და მის მიღმაც.

წიგნის ავტორი დარწმუნებულია, რომ სამყარო სინამდვილეში მრავალია და ყოველი მათგანი შეიცავს სიტუაციების სხვადასხვანაირ განვითარებას. თუ ერთ სამყაროში სხეული მოკვდა, მეორეში ის ცხოვრებას აგრძელებს. მოკლედ რომ ვთქვათ, გარდაცვლილი გვირაბის გავლის შემდეგ ხვდება არა სამოთხესა ან ჯოჯოხეთში, არამედ ისეთივე სამყაროში, რომელშიც ცხოვრობდა, მაგრამ იქ ისევ ცოცხალია.

ლანცის კონცეფცია ახალი არაა, მაგრამ მისმა არგუმენტებმა ინტერნეტ-მომხმარებლები სერიოზულად ააღელვა.

# პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორები-ს თავმჯდომარე ირაკლი ღლონტი "ნაციონალურ მოძრაობას" ღიად უპირისპირდება!

პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორები"-ს თავმჯდომარე ირაკლი ღლონტი ავრცელებს განცხადებას: „რამდენიმე თვის მანძილზე თავს ვიკავებდი ამ განცხადების გავრცელებისაგან, თუმცა ზღვარსგადასული თავგასულობა და კანონის უხეში ხელყოფა მკარნახობს საზოგადოება ჩაგდეს საქმის კურსში, მას შემდეგ, რაც ნაც. მოძრაობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჩვენ **„რეფორმატორები"**"არ ვაპირებდით მათთან პარტნიორულ ურთიერთობას ხელისუფლების წინააღმდეგ, გადაწყვიტეს ყველა ძალ-ღონე ეღონათ ჩემი და ჩემი გუნდის წინააღმდეგ. პარტიაში ერთ-ერთი წევრი გახლდათ გიორგი ბარამიძის ახლო ნათესავი, რომელიც ამ უკანასკნელის მითითებისამებრ დაგვიპირისპირდა და გადაწყვიტეს პარტიის შიგნით არეულობის გამოწვევა. პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ იმსჯელა ამ წევრის – გიორგი ჟამუტაშვილის პარტიის მიზნებსა და ამოცანებთან შეუთავსებლობაზე და წესდების არაერთი მუხლის უხეში დარღვევის გამო იგი 2015 წლის 14 იანვარს გარიცხულ იქნა პარტიის წევრობიდან, რომელსაც მოჰყვა მის მიერ დაკავებული თანამდებობის დაკარგვა. ის იმ დროისთვის იკავებდა პოლიტსაბჭოს წევრის თანამდებობას. 22 მარტს ჟამუტაშვილმა ნაცმოძრაობის ცალკეულ პირთა მონაწილეობით ფარულად და უკანონოდ მოაწყვეს საზოგადოებრივი თავყრილობა, რომელსაც ასევე უკანონოდ უწოდეს პარტიის წევრთა ყრილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით საზოგადოება შეიყვანეს შეცდომაში, ხელი მოაწერინეს ოქმს ზეპირი განმარტებით, რომ ქმნიდნენ ახალ პარტიას, ხოლო ოქმში ეწერა რომ ისინი ხმას აძლევდნენ თავმჯდომარის – ირაკლი ღლონტის გადარჩევას და მის ნაცვლად გიორგი ჟამუტაშვილის არჩევას. ე.წ. ყრილობას ესწრებოდა პარტიის არა წევრები, სამარშუტო ტაქსებით სპეციალურად რაიონიდან ჩამოყვანილი ნათესავ-ახლობლები. 156 ხელმომწერიდან 118 არ გახლდათ პარტიის წევრი, შესაბამისად მათ არც უფლებამოსილება არ გააჩნდათ მიეღოთ ეს გადაწყვეტილება. გიორგი ჟამუტაშვილმა და დავით მიროტაძემ, რომლებსაც უკანონოდ მისაკუთრებული აქვთ პარტიის 3 ბეჭედი და სხვა ნივთები, ბლანკის გაყალბებისა და მასზე ბეჭდის გამოყენებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართეს ცვლილებების რეგისტრაციის თაობაზე, რომელზედაც რეესტრმა განუცხადა უარი, ვინაიდან პარტიის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები არიან პარტიის თავმჯდომარე და გენმდივანი, ამის გარდა, დარღვეული იყო ყრილობის მოწვევის პროცედურა და საქმე ეხებოდა სავარაუდო დანაშაულს. საჯარო რეესტრმა საქმე გადაუგზავნა პროკურატურას. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე თავს ვიკავებ დამატებითი ინფორმაციის გაცხადებაზე, თუმცა, მსურს განვაცხადო საჯაროდ, რომ მოქალაქე გიორგი ჟამუტაშვილი არის სავარაუდოდ დამნაშავე და ის აცხადებს თავს პარტიის თავმჯდომარედ, რაც წარმოადგენს სიყალბეს, ვინაიდან პარტიის თავმჯდომარედ ოფიციალურ ორგანოში რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი პირი – ირაკლი ღლონტი. გიორგი ჟამუტაშვილი ღიად დაგვიპირისპირდა მაშინ, როცა მე გავაკრიტიკე ნაცმოძრაობის რამდენიმე ლიდერი: ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი კარბელაშვილი და დავით დარჩიაშვილი. მე მსურს ნაცმოძრაობის იმ ლიდერებს, რომლებიც გვიპირისპირდებიან, მოვუწოდო კანონიერებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში **„რეფორმატორებისგან"** ისინი მიიღებენ მწვავე დაპირისპირებას. არ ვაპირებთ ისედაც დისკრედიტირებული ნაცების წინააღმდეგ ბრძოლას და თუ არ შეწყდება ჩვენს მიმართ მტრობა და დაპირისპირება ჩვენ მივმართავთ კანონით გათვალისწინებულ ყველა ფორმას მათ წინააღმდეგ", – აცხადებს ირაკლი ღლონტი.

**საქინფორმი**

# ბატონი რეზო ჩხეიძის – „შეუწყვეტილი მოგზაურობა საქართველოში!“



ორი წელი გაილია, მას შემდეგ, რაც, ეს სტატია დაიწერა. მანამდე კი, უამრავი შეხვედრა, საკამათო თემა უძღოდა ბატონ რეზო ჩხეიძესთან, ყველაზე მთავარი კი, – თუ **რომელ გზას უნდა დაადგეს ჩვენი სამშობლო, საქართველო!**

ეს იყო უმთავრესი და აქ წარმოიშვა ერთი, თამამი იდეა, გაკეთებულიყო დოკუმენტური ფილმი – **„რეზო ჩხეიძის მოგზაურობა საქართველოში!“**

გარკვეული მიზეზების გამო, რასაც აქვე შევეცდები განვმარტო, – როცა ჰერეთი დაკარგა საქართველომ და იგი სამეგრელოში გაიგეს, იმდროინდელი საინფორმაციო საშუალებების მიერ ნაკლებად გაცნობიერებულ საქართველოში, გასაკვირად განუცდიათ ეს ამბავი და უთქვამთ, – **„უი, ეს რა ცუდი საქმე მომხდარაო!“**

მიუხედავად ამისა, – იგი არ ყოფილა საერთო ქართული ტკივილი!!!

სამწუხაროდ, არც აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვა განუცდია საქართველოს საკუთარი მკერდის მოჭრად, აფხაზეთიდან გადმორეკილები, – დიდწილად, ბედის ანაბარად მიაგდეს!..

2008 წელს კი, – **სრულიად უმიზნოდ და უაზროდ დაწყებული ომის შემდეგ, სამაჩაბლოდან გადმორეკილებს, ათასობით, ფუტკრის „სკის“ მაგვარი სადგომები გაუმზადეს, წინასწარ დაგეგმილი პროექტით!**

– სწორედ, ეს სატკივარი გვაერთიანებდა – ბატონ რეზო ჩხეიძის გარშემო, მის ბიოგრაფ როლანდ ჯალაღანიას და მეგობართა მცირე ჯგუფს, როცა გადავწყვიტეთ შეგვექმნა დოკუმენტური ფილმი – **„რეზო ჩხეიძის მოგზაურობა საქართველოში“**

სამწუხაროდ, მისი, მხოლოდ მცირე ნაწილი შევძელით ბატონ რეზოსთან ერთად დაგვესურათხატებინა...

დანარჩენს, ჯერ კიდევ ფართო საზოგადოების თვალსაწიერზე არგასული ფილმი – **„მაცხოვრის საფლავთან ანთებული სანთელი“** გააგრძელებს!

## არაჩვეულებრივი შეხვედრა ზუგდიდში

საზეიმო განწყობა სუფევდა, 2013 წლის 18 ოქტომბერს, შაბათ დღეს, ზუგდიდში!

სტუმარი არასოდეს კლებია სამეგრელოს ადმინისტრაციულ ცენტრს (თუ გნებავთ დედაქალაქს!..), მაგრამ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, უმეტესობა (განსაკუთრებით თბილისიდან ჩამოსული), მოქმედი მთავრობის პარტიული ინტერესების გასამყარებლად, ან წინასაარჩევნო პერიოდში ხმების დასაბევებლად, თან, მეტწილად, უღირსი სადეპუტატო თუ საპრეზიდენტო კანდიდატების გასათრევად ჩამოდიოდა!..

არ ჰგავდა შაბათის სტუმრიანობა ზემოთ ხსენებულ წვეულებებს, რადგან, ზუგდიდს, ამჯერად, ბატონი რეზო ჩხეიძე სტუმრობდა ბატონებთან – ნუგზარ შარიასთან, გოგი დოლიძესთან, კინოდოკუმენტალისტ ქალბატონ ინეზა ავალიანთან და ბოლო 22 წლის მანძილზე, საქართველოსთან ერთად, ყველა განსაცდელგამოვლილ, ტელეჟურნალისტ, ქალბატონ ნანა წითელაშვილთან ერთად!

კიდევ იმიტომ არ ჰგავდა ეს სტუმრობა სხვა დროის წვეულებებს, რომ ზუგდიდის ამჟამინდელი სტუმარი, თავად ბატონი რეზო ჩხეიძე არ ჰგავს სხვას არავის. იგი ისევე განსხვავებულია სხვებისგან, როგორც მისი **„მაგდანას ლურჯა“, „ჯარისკაცის მამა“, „რაიკომის მდივანი“** (იგივე **„მშობლიური ჩემო მიწავ“**), **„ღიმილის ბიჭები“** და სხვა...

აკი ითქვა კიდეც დარბაზში – ბატონი რეზო ჩხეიძე ის პიროვნებაა, რომელიც, სადაც არ უნდა მივიდეს, ყოველთვის უდიდეს იმედს და მხნეობას ტოვებს, (სხვებისგან განსხვავებით – არც ვინმეს პარტიული ინტერესების მეხოტბეა და, არც საარჩევნო ხმების მომგროვებელი!) და სანაცვლოდ, მხოლოდ სიყვარული და მოფერება მიაქვს მასპინძლებისგან!

ასე იყო იმ დღესაც. სადაც კი ბატონი რეზო და მისი მეგობრები გამოჩნდნენ – ანაკლიაში, დადიანების სასახლესა და მუზეუმში, კინოთეატრ **„ატრიუმი“**-ს შესასვლელთან, ჰოლში, დარბაზში, – ყველგან უამრავი ხალხი ელოდა, რომ ახლოდან ეხილა და ვინიცობაა, სურათიც კი გადაეღო საყვარელ ადამიანთან!

ბუნებრივია, ყველა მსურველს ვერ დაიტევდა **„ატრიუმი“**-ს დარბაზი. ამიტომაც, გულდაწყვეტილ მაყურებელს შევპირდით, რომ ყველაფერს გადავიღებდით და უახლოეს დღეებში ვაჩვენებდით.

ასე დაიწყო **„არაჩვეულებრივი შეხვედრა“**, რომელიც ბრწყინვალედ წარმართა ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ბატონმა მერაბ წერედიანმა.

საკურთხეველში დანთებული საკმევლის სურნელივით მოედო დარბაზს ქალბატონ ინეზა ავალიანის მისალმება-მოფერება სტუმარ-მასპინძლებისადმი.

ორმოცდასამი წლის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულ ნუგზარ შარიას დადიანების სასახლეში დაწყებული საუბრის სიმძაფრე დარბაზშიც შემოჰყვა. ენგურს გაღმა, სამურზაყანოში დაბადებულს, თვალწინ მშობლიური თაგილონი დაუდგა, სადაც მამა-პაპათა საძვალესთან მისვლა აუკრძალეს და ზეცაში ხელებაპყრობილმა მაყურებელს იოსებ ნონეშვილის – **„იქნებ ბიჭო პაპა იყო შენი, საფლავშიაც ბორკილები ედო!“** – რომ შეახსენა, ჩამოსულ სტუმრებსაც განუახლა მოუშუშებელი იარა, თორემ ადგილობრივებს მას რა დაავიწყებს!.. (ასე ამბობენ, 2008 წლის ომის დღეებში სამეგრელო-სამურზაყანოს ცას შავი სუდარა ემოსაო!).

ბუნებით ფიცხმა კინომცოდნემ, პროფესორმა გოგი დოლიძემ, ბატონი რეზოს უკიდეგანო შემოქმედებაზე საუბარი, **„მაგდანას ლურჯას“**, გახსენებით დაიწყო, რითაც ასაკოვან მაყურებელს ცრემლები ადინა და მგონი, პირველად გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ფილმში ქართულ, და არა მხოლოდ ქართულ კინემატოგრაფიაში პირველად იქნა წინა პლანზე წამოწეული ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანის ცხოვრების ჩვენება, როგორც მიზანი, რაც მეტად ყურადსაღები და მნიშვნელოვანია!

ქალბატონ ნანა წითელაშვილს, სხვა ყველაფერთან ერთად, არც აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისადმი სამეგრელოს საგანგებო ჭირისუფლობა გამორჩენია და ამით კიდევ ერთხელ მიაგო საგანგებო პატივი ამ კუთხის უმძიმეს ხვედრს, რომელიც უკანასკნელი ოცდაორი წლის მანძილზე საქართველოს დამაქცევარმა მმართველებმა დაატეხეს თავს მის მოსახლეობას!

ქალბატონმა ინეზამ მიკროფონთან ახალგაზრდა მანდილოსანს უხმო დარბაზიდან და კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი აუწყა მაყურებელს – რეზო ჩხეიძეზე მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს ვიღებთ, რეზოს დედის როლს, ზუგდიდის მკვიდრი ნანა ბერიშვილი ასრულებსო, რასაც ოვაციები მოჰყვა.

კვლავ საღამოს წამყვანმა, ბადრი წერედიანმა მიმართა დარბაზს და სტუმარ-მასპინძლებს საგანგებოდ მომზადებული სიურპრიზი შესთავაზა – თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ასაკოვანი მამაკაცი წარუდგინა ჩამოსულ სტუმრებს და აუწყა, რომ დღეს, ჩვენ, ორი რეზო ჩხეიძე გვყავს ამ დარბაზში დიდი კინოხელოვანი და რეჟისორი რეზო ჩხეიძე და ასევე დიდი ქორეოგრაფი და ლოტბარი ზუგდიდელი რეზო ჩხეიძეო!

იშვიათი დამთხვევაა, არა მარტო სახელითა და გვარით, ორივე ხელოვნების მსახური და ერთი ასაკისანი არიან!

ხანგრძლივი ტაშით მიესალმა მაყურებელი ორი რეზო ჩხეიძის სიურპრიზად მომზადებულ შეხვედრა-გაცნობას!

თბილი მოგონებებით მოეფერნენ მოწვეულ სტუმრებს ბატონები ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია... სევდითა და სიხარულნარევი, გარდასულ დღეთა მოგონებების შემდეგ, დარბაზს კვლავ ქალბატონი ინეზა ავალიანი წარუდგა და ყველასათვის მოულოდნელად **“ჯარისკაცის მამის”** გაფერადებული ვარიანტის ჩვენების ნაცვლად, ბატონი რეზოს ახალი შედევრის **“მაცხოვრის საფლავთან დანთებული სანთელი”**-ს ნახვა შესთავაზა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა მოსული სტუმრების ინტერესი. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს ფილმი საქართველოში პირველად იქნა კინოდარბაზში ნაჩვენები, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით!

ფილმის ჩვენების შემდეგ ეკრანზე ნანახით გაოგნებული მაყურებელი ერთ-ერთი სტუმრის კომენტარმა გამოაფხიზლა: **“ბატონმა რეზო ჩხეიძემ, ბოლო ოცდაორი წლის მანძილზე, საქართველოს უგუნური მმართველების მიერ, ჩვენს სამშობლოს მომდურებული და მტრად მოკიდებული ქვეყნები, ეკრანზე ნანახი ფილმით ორ საათში შემოურიგა!”**

ამან კიდევ ეთხელ მიუბრუნა მაყურებელი ფილმს. კიდევ ერთხელ გაირბინა ყოველი მათგანის თვალწინ საქართველოს მიერ უკანასკნელი ოცდაორი წლის მანძილზე გადატანილმა განსაცდელმა, ქვეყნის და მისი მოსახლეობის ეკონომიკურმა და სულიერმა დაცემამ!..

და ყველაფერ ამის ფონზე კინოეკრანიდან გადმოდიოდა გაცოცხლებული იმედი სამშობლოს გადარჩენისა!

ახალგაზრდა, შემოქმედი კაცის თავგანწირვა – **“იხსნას სამშობლო განსაცდელისგან”** სხვა არაფერია, თუ არა, **ქართული გენის ხელახალი აღზევების დასაწყისი!**

აქვე, იმასაც ვიტყვი – ამ წერილის გამოქვეყნებაც შეგნებულად გადავდეთ, მავანთათვის რომ საბაბი არ მიგვეცა – ბატონი რეზოს ზუგდიდში ჩამოსვლა წინასაარჩევნო აგიტაციად (2012 წლის პირველი ოქტომბერი!) არ ჩაეთვალათ და ეს ისტორიული დღე არ გაეუფერულებინათ!

ვატყობ, კალამი გამექცა!.. ბოდიშს გიხდით, ქალბატონ ინეზას მოვუსმინოთ – “ნობელის პრემიის ლაურეატის, შვედი მწერლის სელმა ლაგერლოფის მოთხრობის მიხედვით შექმნილი სცენარით (რომელიც მსოფლიო რელიგიურ ფესტივალზე 2001 წელს **“ოქროს რაინდით”**, ხოლო ფილმი 2009 წელს მოსკოვის XXIX მსოფლიო კინოფესტივალზე **“ოქროს წმინდა გიორგით”** დაჯილდოვდა) გადაღებული ფილმის სიუჟეტი ასე ვითარდება:

***– ბაგრატიონების გვარის ახალგაზრდა მსახიობი ლუკა ბაგრატიონი იერუსალიმის კინოფესტივალზე მიემგზავრება, სადაც მისი ფილმია წარდგენილი. მას დაესიზმრება, რომ ოდესღაც, ქართველ მხედრებს მაცხოვრის საფლავთან ანთებული ღვთიური ცეცხლი ჩამოუტანიათ საქართველოში, რომელიც საუკუნეების მანძილზე უნათებდა გზას მათ სამშობლოს, მაგრამ დამდგარა ჟამი, უყურადღებობის თუ ავბედითობის გამო იგი ჩამქრალა და მას შემდეგ ქვეყანა წელში ვერ გამართულა. ზეციურ ხმას მისთვის ჩაუგონებია ეკისრა მისია – იერუსალიმიდან ჩამოეტანა მაცხოვრის საფლავზე ანთებული ღვთიური ცეცხლი ისე, რომ გზაში არ ჩაქრობოდა!***

***ახალგაზრდა მსახიობი კინოფესტივალზე მთავარ პრიზს აიღებს, მაგრამ მისთვის ეს არ არის მთავარი, მთავარი ღვთიური ცეცხლის ჩამოტანაა, რომელიც გააცოცხლებს მის შინაურ და გარეშე მტერთა მიერ განადგურებამდე მიყვანილ სამშობლოს!***

***ასე იწყება საინტერესო და ფათერაკებით სავსე გზის გავლა, რომელიც ნახევარი წელი გრძელდება და მაყურებელიც ფილმის მთავარ გმირთან ერთად ორი საათის განმავლობაში სიმწრისა და სიხარულის ცრემლებით მოაცილებს მას, ტიმოთეს უბანში ღვთისმშობლის ხატის წინ შემორჩენილ სანთელჩამქრალ შანდლამდე, ვიდრე იგი გუმბათის ჭერამდე გაანათებდეს საუკუნეებისგან დამძიმებულ ტაძარს და მასთან ერთად სრულიად საქართველოს!***

ძნელია ეკრანზე ნანახის ქაღალდზე გადმოტანა, მაშინ, როცა, – **ბოლო ოცდაორი წლის მანძილზე, ჩვენს სამშობლოში, მისი უგუნური და ანტიქართული ორიენტაციის ხელმძღვანელთა მხრიდან, არამც თუ საქმე, მცდელობაც კი არ ყოფილა ქართული სულიერების ასამაღლებლად, ეროვნული სახის შესანარჩუნებლად, რაიმე ღირებულის შესაქმნელად!**

**...და, სწორედ ამ დროს, – ბატონი რეზო ჩხეიძე, სულიკო ჟღენტთან, ანზორ ჯუღელთან და ამირან დოლიძესთან ერთად, როგორც ზემოთ ვახსენე, შვედი მწერლის მოთხრობის მიხედვით ქმნის ჯერ კინოსცენარს, შემდეგ კი აცოცხლებს მას ეკრანზე ისე, რომ ამ ფილმში ერთი წამიც კი არ არის არაქართული!**

ასე შეიქმნა, არაჩვეულებრივი კინოხატი – **“მაცხოვრის საფლავთან დანთებული სანთელი”**, რომელსაც უწმინდესმა და უნეტარესმა **“წინასწარმეტყველური ქმნილება”** უწოდა!

ამ საოცარ ქმნილებას, ასევე საოცარი და უჩვეულო ისტორია აქვს. იმ დროს, როცა ყველაფერი უცხოური, უსახური და ანტიქართული ფინანსდებოდა საქართველოში, ამ ფილმის გადასაღები სახსრები ვერ მოიძებნა სამშობლოში!

**...უფალმა ინება და ფილმი დიდი ხანია გადაღებულია. რამდენიმე პრიზიც მოიპოვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე, მაგრამ იგი დღემდე არ უნახავს ქართველ მაყურებელს!**

**ბუნებრივია ისმის კითხვა:**

**–რატომ არ იქნა იგი ეკრანზე ნაჩვენები?!.**

...გულითად მადლობასთან ერთად **“ატრიუმი”**-ს დარბაზში მოსულ სტუმრებს ისევ ბატონმა რეზომ გააცნო ფილმის გადაღების საინტერესო ისტორია:

**“ეს არის პირველი ქართული ფილმი, რომელიც დედანში რუსულად გახმოვანდა. იგი რუსებმა დააფინანსეს და ამიტომაც რუსულად იქნა გახმოვანებული. ახლა გაჩნდა საშუალება მისი ქართულად გახმოვანებისა და მას ქართველი მაყურებელი ამის შემდეგ იხილავს ეკრანზე”.**

აქვე გაგიმხელთ მარტივ საიდუმლოს **– ბოლო წლების განმავლობაში რუსეთთან და რუსულ ენასთან საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას, ვფიქრობ, შეხსენება არ სჭირდება. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ სიძულვილის ფონზე, რასაც საქართველოს პირველი კაცი და მისი მთავრობა ავრცელებდა რუსეთის მისამართით, ამ ფილმის რუსულ ენაზე საქართველოს კინოეკრანებზე გამოტანა, მისი ავტორების დახვრეტით თუ არა, პატიმრობით მაინც დამთავრდებოდა!..“**

იმ დღეს **”ატრიუმში”** შეკრებილ მაყურებელს წილად ხვდა ბედნიერება პირველად ეხილა ეს ფილმი კინოდარბაზში.

...ღმერთმა იმ ჭკუაზე ნუ დამაყენოს, ბატონი რეზო ჩხეიძის ფილმის შეფასებას შევუდგე, მაგრამ, როგორც რიგითი მაყურებელი, ჩემს განცვიფრებას მაინც გამოვთქვამ:

– როცა ეკრანზე ვიხილე, თუ როგორ მოისმინა რუსმა მოძღვარმა სამშობლოს გადასარჩენად თავგანწირული ქართველი, ბაგრატოვანთა გვარის, თავადისშვილის მონაყოლი, რომ მას განსაცდელში ჩავარდნილი საქართველოს გადასარჩენად მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი მოაქვს, ისე, რომ გზაში ერთხელაც არ ჩაქრობია და ამის შემდეგ უბრძანა თავის მეუდაბნოე თანამესაყდრეებს:

**“– ჩააქრეთ სანთლები!.. და, იგი ხელახლა აანთეთ მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთლიდან!”** – კარგა ხანი ხმა ვერ ამოვიღე!

...გვიან მივხვდი – **მეც შემომეპარა “ევრო-ამერიკული ფსევდო დემოკრატიის” სენი, რომელიც თუ გაგიშინაურდა, მოყვარეს მტრად გადაგკიდებს, გონებას წაგართმევს, კაცს-კაცზე, ქალს-ქალზე დაგიქორწინებს, ქორწილსაც გადაგახდევინებს “ტრადიციული ქართული თამადობით” და ყველაფერ ზემოთ ხსენებულს მხოლოდ მაშინ შეგიქებს, როცა შენი თვალის დაბრმავება (კარგად ჟღერს მეგრულად – “თოლიშ გეწკურუა”) დასჭირდება!**

ამიტომ, გზას რომ არ ავცდეთ – **ჭეშმარიტს, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურს, ქართულს,** ბევრჯერ უნდა ვნახოთ (გონების თვალითა და გულისყურით) და მივყვეთ ბატონი რეზო ჩხეიძის **“მაგდანას ლურჯა”-ს, “ჯარისკაცის მამა”-ს, “რაიკომის მდივნის”** (იგივე **“მშობლიურო ჩემო მიწავ”**), **“ღიმილის ბიჭები”**-ის, ამიერიდან ***“ქრისტეს საფლავზე ანთებული სანთელი”***-ს გზას!

მშვიდობით გვატაროს უფალმა!

**დავით ქობალია**

# ალბერტ აინშტაინის 20 გენიალური ფრაზა



დიდი ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინი ნობელის პრემიის მფლობელია. ის აქტიურად გამოდიოდა ომისა და ატომური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ. ასევე, ემხრობოდა ჰუმანურობას, ადამიანის უფლებების დაცვასა და ერებს შორის ურთიერთგაგებას.

აინშტაინს ბრწყინვალე იუმორის გრძნობა ჰქონდა. როცა ეკითხებოდნენ, სად მდებარეობდა მისი ლაბორატორია, ის ღიმილით საკუთარ კალამს უჩვენებდა.

მეცნიერი კარგად უკრავდა ვიოლინოზე, ბევრს კითხულობდა.

ჩვენ შევკრიბეთ აინშტაინის 20 ცნობილი ფრაზა, რომელთა გენიალურობაშიც ეჭვი თითქმის არავის ეპარება.

**– არსებობს ორი უსასრულობა: სამყარო და სისულელე, თუმცა, პირველის შესახებ დარწმუნებული არ ვარ.**

**– მხოლოდ სულელს სჭირდება წესრიგი – გენიოსი ქაოსზე ბატონობს.**

**– თეორია არის, როცა ყველაფერი ცნობილია, მაგრამ არაფერი მუშაობს. პრაქტიკა კი, როცა ყველაფერი მუშაობს, მაგრამ არავინ იცის რატომ. ჩვენ კი თეორიასა და პრაქტიკას ვაერთიანებთ: არაფერი მუშობს... და არავინ იცის რატომ!**

**– არსებობს ცხოვრების ორი ხერხი. პირველი: სასწაული არ არსებობს. მეორე: თითქოს ყველგან სასწაულია.**

**– განათლება არის ის, რაც სკოლაში ნასწავლის დავიწყების შემდეგ რჩება.**

**– არ ვიცი, რა იარაღით იბრძოლებენ მესამე მსოფლიო ომის დროს, მაგრამ მეოთხეში – ჯოხებითა და ქვებით.**

**– ეს სიგიჟეა: აკეთო ერთი და იგივე და განსხვავებულ შედეგს ელოდო.**

**– წარმოსახვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნა. ცოდნას საზღვარი აქვს, როცა წარმოსახვა მთელ სამყაროს ფარავს.**

**– ვერასდროს გადაწყვეტ პრობლემას, თუ ისე იფიქრებ, როგორც ისინი, ვინც ეს პრობლემა შექმნა.**

**– ვისაც საკუთარი შრომის შედეგების ხილვა უმალვე სურს, მეწაღეობა უნდა დაიწყოს.**

**– ცხოვრება ველოსიპედის ტარებას ჰგავს. წონასწორობის შესანარჩუნებლად მუდამ უნდა იმოძრაო.**

**– ყველამ იცის, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ მოდის ვიღაც, რომელმაც ეს არ იცის და სწორედ ის აკეთებს აღმოჩენას.**

**– გონება, რომელიც ერთხელ მაინც გააფართოებს საკუთარ საზღვრებს, ძველს არასდროს დაუბრუნდება.**

**– თუ ბედნიერი ცხოვრება გსურთ, მიზანს უნდა იყოთ მიბმული და არა ადამიანებს ან ნივთებს.**

**– წარმატების მისაღწევად არ უნდა მიილტვოდეთ, არამედ უნდა ეცადოთ, რომ თქვენს ცხოვრებას აზრი ჰქონდეს.**

**– ერთადერთი რამ, რაც სწავლაში ხელს მიშლის, მიღებული განათლებაა.**

**– ადამიანს, რომელსაც არასდროს დაუშვია შეცდომა, ახალი არაფერი გაუსინჯავს.**

**– თუ არ შეგიძლია, ეს საკუთარ ბებიას აუხსნა, მაშინ თავადაც არ გესმის.**

# არნო ხიდირბეგიშვილი: „ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი ნობელის პრემიას იმსახურებენ“

დღეს უკვე უპირობოდ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წინა კვირას ბიძინა ივანიშვილმა და ირაკლი ღარიბაშვილმა რევოლუცია მოახდინეს საქართველოს განვითარებაში – სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა მათ ეკონომიკურ რელსებზე გადაიყვანეს! მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ამისათვის ივანიშვილსა და ღარიბაშვილს ნობელის პრემიაზე წარადგენდა. სამწუხაროა, რომ საქართველოში არ აღმოჩნდა არცერთი ანალიტიკოსი, პოლიტოლოგი, ექსპერტი, პოლიტიკოსი ანდა ჟურნალისტი, რომლებსაც პოლიტეკონომიის რამე გაეგებათ და ესმით – რას ნიშნავს ეს. საქართველოსთვის ხომ, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვის, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს არა აშშ ანდა რუსეთი, არამედ ეკონომიკა: როცა ის ვითარდება, არ არის უმუშევრობა, ინფლაცია და დევალვაცია, მყარდება ეროვნული ვალუტა, იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი და ექსპორტი, ხალხი მაძღარი და კმაყოფილია ხელისუფლების წარმატებული პოლიტიკით! ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას და არა პირიქით, ეკონომიკა – ბაზისია, რომლის გარეშეც არ შეიძლება იარსებოს იდეოლოგიურმა ზედანაშენმა.

9 წლის განმავლობაში სააკაშვილის დანაშაულებრივი ხელისუფლება სახლის აშენებას საძირკვლის გარეშე ცდილობდა – ჩვენ მარტო გვატყუებდნენ, რომ ქართველები ევროპელები არიან, რომ ჩვენი იმედი – №1 სტრატეგიული პარტნიორი აშშ-ია, ჩვენი ხსნა კი – ნატოშია. თუმცა დასავლეთს, **„ნაცმოძრაობის“** 9-წლიანი მმართველობის განმავლობაში საქართველოში არ გაუხსნია არცერთი საწარმო და გვაწვდიდა მხოლოდ იარაღს და გრანტებს – არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამ სიცრუის პროპაგანდისთვის! განა ადამიანებს იარაღით გამოკვება შეუძლიათ?! მშიერი ხალხის დამონება კი იოლია: სწორედ ევროპული ღირებულებები – სასამართლოს, საარჩევნო სისტემისა და მედიის თავისუფლება, რომელთა შესახებაც გამუდმებით გაჰყვიროდა **„დემოკრატიის შუქურა“** სააკაშვილი – პირველ რიგში უხეშად ირღვეოდა საქართველოში სწორედ მისი პრეზიდენტობისას!

ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა სხვა, ნაკლებად მომხიბვლელ, მაგრამ კლასიკურ გზას მიმართეს და ბაზისის მშენებლობიდან დაიწყეს: რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის, ქართული პროდუქციის ტრადიციულად ხელმისაწვდომ რუსულ ბაზარზე დაბრუნების შემდეგ, მათ გადააქციეს ჩინეთი (რუსეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორი ქვეყანა თითქმის მილიარდნახევრიანი მოსახლეობით, მსოფლიოში ყველაზე გიგანტური ბაზრით, ლიდერი, რომლისაც თავად აშშ-ს ეშინია) საქართველოს სტრატეგიულ ეკონომიკურ პარტნიორად! ძალიან მალე საქართველო – მოსახლეობის რიცხოვნობით მარტო პეკინზე ოთხჯერ პატარა ქვეყანა – მიმზიდველი გახდება აფხაზებისა და ოსებისათვის, სწორედ ამ ეკონომიკურ ბაზისზე და არა იარაღის ძალით დავაბრუნებთ უწინდელ მეგობრობას ჩვენს ძმებთან! **„ახალი აბრეშუმის გზა“** საქართველოს ააყვავებს, ქართველები კი ქართველებად დარჩებიან და ბედნიერად იცხოვრებენ თავის ქვეყანაში – მეგობრულად მეზობლებთან და საუკეთესო ევროპული სტანდარტებით დაცული უფლებებით!

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**საქინფორმის მთავარი რედაქტორი**

# ბელარუსის რესპუბლიკამ ქართველი ვეტერანები სპეციალური ორდენებით დააჯილდოვა



ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით ვეტერანები, რომლებიც ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განმათავისუფლებელ ბრძოლებში იბრძოდნენ, ბელარუსის რესპუბლიკამ სპეციალური ორდენებით დააჯილდოვა. 25 ვეტერანს ორდენები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ირაკლი შიხიაშვილმა გადასცა. დაჯილდოებას დაესწრნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. დაჯილდოების შემდეგ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა ვეტერანებს საზეიმო სადილზე უმასპინძლა.

**საქინფორმი**

# გარდაიცვალა მწერალი რეზო ჭეიშვილი



სახელგანთქმული ქართველი მწერალი, დრამატურგი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ ბენედიქტეს ძე ჭეიშვილი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1933 წლის 24 აპრილს.

მან წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა მერვე (VIII) საშუალო სკოლა 1952 წელს. 1954 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის (ქართული ენა ლიტერატურა) ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაასრულა 1958 წელს.

სტუდენტობისას უნივერსიტეტის ალმანახ **“პირველ სხივში”** და ახალგაზრდულ ჟურნალ **“ცისკარში”** გამოაქვეყნა პირველი მოთხრობები.

1961 წლის ჩათვლით, ვიდრე 1992 წლამდე, მუშაობდა კინოსტუდია **“ქართულ ფილმში”** რედაქტორად, სასცენარო კოლეგიის წევრად, შემოქმედებითი გაერთიანების წევრად და ერთ-ერთ ხელმძღვანელად, პარალელურად მოღვაწეობდა ჟურნალებში **“ცისკარი”** და **“საუნჯე”**.

1987 წლის იანვარში რეზო ჭეიშვილი გაამწესეს ალმანახ **“განთიადის”** მთავარ რედაქტორად მშობლიურ ქალაქ ქუთაისში. მისი მეცადინეობით ალმანახი (ამას კრემლის ნებართვა სჭირდებოდა) გადაკეთდა ჟურნალად და **“განთიადი”** რევოლუციური კატაკლიზმების (1988 წლის 9 აპრილი, 1991-93 და მომდევნო წლები) დაწყებამდე გამოდიოდა რეგულარულად, სოლიდური მოცულობითა და საკმაოდ დიდი ტირაჟით.

რეზო ჭეიშვილი თავმჯდომარეობდა რუსთაველის საზოგადოებას, იმ წლებშივე (1987-1992) დააარსა საზოგადოებრივ-პუბლიცისტური გაზეთი **“მოწამეთა”**, შემდგომში ილუსტრირებული ჟურნალი **“მწვანეყვავილა”**. საქართველოს ხელისუფლების მიერ უგულვებელყოფისა და უსახსრობის გამო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ზემოთ ნახსენები ორივე ორგანო დაიხურა.

1992 წელს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე არჩეულ იქნა მწერალთა კავშირის მდივნად, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, 2000 წლიდან იყო საქართველოს მწერალთა ლიტერატურული ფონდის თავმჯდომარე, სადაც მსახურობდა გარდაცვალების დღემდე.

1997-98 წლის ორი სეზონის განმავლობაში, როგორც დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, უძღვებოდა ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის აკადემიურ თეატრს.

რევაზ ბენედიქტეს ძე ჭეიშვილი არჩეულ იყო მესამე მოწვევის (1992-1995) პარლამენტის დეპუტატად.

რეზო ჭეიშვილი იყო რამდენიმე მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმის (**“მზიანეთი”, “ზღვის მგელი”, “ავტოპორტრეტი”, “ფედია”, “ჩემი მეგობარი ნოდარი”, “გამოაღეთ ფანჯრები”, “გათენების წინ”, “ჭიდაობას რა უნდა”, “ექსპრეს-ინფორმაცია”**) სცენარის ავტორი.

გამოცემული აქვს წიგნები: **“ვაიმე, ჩემო ვენახო”, “პირველი”, თხზულებანი 2 ტომად, “ჩემი მეგობარი ნოდარი!” “რკინის სახკომი” “დალი”, “ყაჩაღები”, “კუდიანი ვარსკვლავი”, “ცისფერი მთები”** და სხვა.

**მისი მრავალი ნაწარმოები თარგმნილია უცხო ენებზე.**

რეზო ჭეიშვილს მიღებული აქვს რამდენიმე გამორჩეული ნაწარმოებისა და მთელი შემოქმედებისათვის საქართველოს-რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

აგრეთვე მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია. 2012 წელს მიიღო პრემია **“საბა”** ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

**“უხვი”** მოსავალი მოიმკა წელს საქართველოში სიკვდილმა – ახლახან მიწას მივაბარეთ სანაქებო მამულიშვილი და ღვაწლმოსილი კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე, ახლა კი – რეზო ჭეიშვილი...

სამწუხაროა, რომ ასე დაუნანებლად მიდიან თავაუღებელი შრომით ქანცგაცლილი დიდი შემოქმედები, მათი ცვლა კი ჯერჯერობით არ სჩანს!

**ნონა თორდია-ჭითანავა, გურიელ ჭითანავა, ლესა ჭითანავა, რევაზ ფიფია, მურმან ფიფია მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა თანაკლასელი და ეროვნული მოძრაობის ვეტერანი**

**ოთარ ალექსანდრეს ძე ჩაჩიბაია**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს**

# „ჩვენ არავინ გვყავს ერთმანეთზე ახლობელი

ირაკლი ღარიბაშვილი 1992 წელს აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ თარიღს უწოდებს.

**„ეს ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია. აფხაზეთის ომის იარები დღესაც მოუშუშებელია ქართველებისა და აფხაზებისთვის.**

**ჩვენმა ქვეყანამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – ამ ომმა საქართველოს საუკეთესო შვილები შეიწირა. პატივს მივაგებ ომის მსხვერპლთა და სამშობლოსთვის დაღუპული ჩვენი გმირების ნათელ ხსოვნას.**

**აფხაზეთის ომს ასობით ათასი ადამიანის დევნილობა მოჰყვა, რომელთაც უმძიმესი წლები გამოიარეს. ქედს ვიხრი მათი გამძლეობის წინაშე. მთავრობა ყველაფერს აკეთებს დევნილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მათთვის ღირსეული პირობების შესაქმნელად.**

**საქართველომ ამ ომით მძიმე გამოცდილება მიიღო. დღეს აღარა გვაქვს უფლება წამოვეგოთ პროვოკაციებს, რისკის ქვეშ დავაყენოთ ქვეყანა და ადამიანების ბედი. დარწმუნებული ვარ, ჩვენ აღარასოდეს გავიმეორებთ წარსულის ტრაგიკულ შეცდომებს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აღარ განმეორდეს ძმათამკვლელი ომი.**

**საქართველო არ შეწყვეტს ერთიანობისთვის ბრძოლას, მაგრამ ეს ბრძოლა იქნება მშვიდობიანი. ჩვენ არავინ გვყავს ერთმანეთზე ახლობელი – შეუძლებელია აფხაზ და ოს ძმებს ჩვენზე დიდი და გულწრფელი გულშემატკივარი ჰყავდეთ. ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ და ერთად უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის“,** – ნათქვამია პრემიერ მინისტრის განცხადებაში.

**საქინფორმი**

# უცნობი ნიკოლაე ჩაუშესკუ



რუმინეთის სათავეში ნიკოლაე ჩაუშესკუ 1965 წლის 19 მარტს მოვიდა, როდესაც რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი გახდა. 1974 წელს ჩაუშესკუმ საკუთარი თავი სამუდამო პრეზიდენტად გამოაცხადა. ის გატაცებული იყო **"ჩუჩხეს"** იდეით, რომელსაც ჩრდილოეთ კორეაში ვიზიტის დროს გაეცნო. კიმ ირ სენის იდეების წიგნი რუმინულად თარგმნა და ავრცელებდა. ჩაუშესკუს რეჟიმი ნეპოტიზმით გამოირჩეოდა, მისი მეუღლე რუმინეთის კომპარტიის **ცკ**-ს წევრი იყო, ხოლო 1980 წლიდან პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე (ჩაუშესკუ თავად იყო პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც). 80-იანი წლების შუა პერიოდში რუმინეთში გავრცელდა ჭორი, რომ ჩაუშესკუ პრეზიდენტობისთვის საკუთარ შვილს, ნიკო ჩაუშესკუს ამზადებდა და თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემას აპირებდა.

ჩაუშესკუს პრეზიდენტობის პერიოდში რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია მუშაობდა თეორიაზე, რომლის თანახმადაც, უნდა დამტკიცებულიყო, რომ რუმინელები ძველი რომაელების პირდაპირი შთამომავლები იყვნენ, ხოლო რუმინული ენა ყველაზე ახლოს იყო ლათინურთან.

კომუნისტური რეჟიმის მიუხედავად, ნიკოლაე ჩაუშესკუ ხშირად აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირს და მოსკოვისგან სრულიად განსხვავებულ ნაბიჯებს დგამდა. ჩაუშესკუმ ღიად დაგმო საბჭოთა ჯარების შესვლა ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს. რუმინეთი იყო ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც არ გამოუცხადა ბოიკოტი 1984 წლის ლოს-ანჟელესის ოლიმპიურ თამაშებს. გარდა ამისა, რუმინეთს ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან და ჩილესთან. ჩაუშესკუ მეგობრობდა მუამარ კადაფთან და აუგუსტო პინოჩეტთან, ხოლო ცენტრალური აფრიკული რესპუბლიკის დიქტატორი, იმპერატორი ბოკასა მისი პირადი მეგობარი იყო. ცნობილი ფაქტია, რომ ჩაუშესკუმ დაგმო **„პერესტროიკის"** დაწყება საბჭოთა კავშირში და გაამყარა ურთიერთობა **„პერესტროიკის"** მოწინააღმდეგე ჩინეთთან და ალბანეთთან. 1989 წლის აპრილში რუმინეთის ფაშიზმისგან გათავისუფლების 45-ე წლისთავთან დაკავშირებულ მიტინგზე ჩაუშესკუმ განაცხადა, რომ დუნაი უფრო შეიცვლიდა მიმართულებას, ვიდრე რუმინეთში მოხდებოდა რევოლუცია.

1980 წლისთვის რუმინეთის საგარეო ვალი 22 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა. ვალის გასტუმრების მიზნით, ჩაუშესკუმ უპრეცედენტო ეკონომიკური პოლიტიკა გაატარა, რომლის დასრულების შემდეგ, ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი სახელმწიფო ევროპის ყველაზე ღარიბ ქვეყნად იქცა. რუმინეთმა სრულად გაისტუმრა ვალი, თუმცა ეს რუმინელ ხალხს ძვირად დაუჯდა. 80-იან წლებში დაიწყო პროდუქტების დეფიციტი. ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით, საღამოს საათებში აკრძალული იყო ერთზე მეტი ნათურის ანთება, ისიც 15 ვატის სიძლიერის უნდა ყოფილიყო; ზამთარში იკრძალებოდა მაცივრის ჩართვა, გრაფიკი იყო დაწესებული ცხელ წყალზე, ტელევიზია მხოლოდ დღეში ორ საათს გადასცემდა. აკრძალული იყო აბორტების გაკეთება, რათა გაზრდილიყო შობადობა და შესაბამისად, იქნებოდა მეტი მუშახელი. ყველა, 45 წლამდე ქალს ევალებოდა სამ თვეში ერთხელ გაევლო შემოწმება გინეკოლოგთან, რომ შესაბამისი ორგანოები საქმის კურსში ყოფილიყვნენ, თუ რამდენი ფეხმძიმე იყო რუმინეთში. აკრძალული იყო პრეზერვატივის და ქალთა კონტრაცეპტივების გაყიდვა.

ნიკოლაე ჩაუშესკუ ფუფუნების მოყვარული გახლდათ. მისი ოჯახისთვის რუმინეთის სხვადასხვა რაიონულ ცენტრში ააშენეს რამდენიმე ათეული სასახლე, სადაც მარმარილოს უნიტაზები და ლითონისგან ნაკეთი ძვირფასი ჭურჭელი იყო. ჩაუშესკუ ბევრ საჩუქარს იღებდა სოციალისტური ქვეყნების ლიდერებისგან – ეს იყო გოიას გრავიურები და ძველრომაული ქანდაკებები, აფრიკული სპილოს ძვლისგან დამზადებული სტატუეტები და უნიკალური წიგნები. მაო ძე დუნს ჩაუშესკუსთვის უჩუქებია იაკის ქანდაკება, რომელიც ახლახან, საქველმოქმედო აუქციონზე 12 ათას ევროდ გაიყიდა. ყველა ეს საჩუქარი ჩაუშესკუს პირად მუზეუმში ინახებოდა. საჩუქრებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა გრანდიოზულ ავტობუსს „Elman Diesel 750 Bus". ავტობუსში იყო ოთახი პერსონალისთვის, საძინებელი და მისაღები ოთახები, ორი გარდერობი, ორი სამზარეულო, ბუფეტი, პრეზიდენტის კაბინეტი, სააბაზანო და საპირფარეშო. ავტობუსში დამონტაჟებული იყო საერთაშორისო სატელეფონო სადგური და დაცული გახლდათ იმდროისთვის საუკეთესო უსაფრთხოების ნორმებით. ამ ავტობუსით ჩაუშესკუ რუმინეთში გადაადგილდებოდა.

არსებობს ვერსია, რომ გადატრიალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ჩაუშესკუ რუმინეთის ბირთვული პროგრამის ამოქმედებაზე მუშაობდა და მისი უკანასკნელი საგარეო ვიზიტი ირანში, სწორედ ამ საკითხს უკავშირდებოდა. გავრცელებული ვერსიის თანახმად, საიდუმლო სამხედრო ობიექტზე ბუქარესტთან ახლოს საუკეთესო რუმინელი მეცნიერების არმია მუშაობდა. მიმდინარეობდა მუშაობა ბირთვული იარაღის შექმნაზე. მართლაც არაერთხელ უხსენებია თავად ჩაუშესკუს, რომ რუმინეთი სულ მალე ბირთვული **„დერჟავა"** გახდებოდა. რუმინეთის ბირთვული პროგრამა ჩაუშესკუს სიკვდილთან ერთად დასრულდა.

ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუებს პანიკურად ეშინოდათ სიკვდილის. ცნობილი ფაქტია, რომ მოწამვლის შიშით, ჩაუშესკუ ყოველდღიურად იცვამდა ახალ თეთრეულს, კოსტიუმებს და ფეხსაცმელს. მათ ეშინოდათ, რომ გარეცხვისას ან ქიმწმენდაში, ტანსაცმელს მოწამლავდნენ. საკვების მიღებამდე ჩაუშესკუს ულუფა მოწმდებოდა, ხომ არ იყო მასში საწამლავი, იზომებოდა რადიოაქტიური და ბაქტერიული შემცველობა. ამ ყველაფერს ჩაუშესკუს პირადი ქიმიკოსი, მაიორი იონ პოპა ახორციელებდა, რომელსაც პორტატული ქიმიური ლაბორატორია ჰქონდა. 1978 წელს დიდ ბრიტანეთში ვიზიტის დროს ჩაუშესკუმ უარი განაცხადა სადილზე, სანამ მისმა თანაშემწემ პირადად არ გასინჯა კერძი. ამ ფაქტის გამო ბრიტანეთის სამეფო ოჯახმა პროტესტი გამოთქვა და ჩაუშესკუს ეს გამოხდომა შეურაცხყოფად შეაფასა. ცნობისთვის, ლონდონში ვიზიტის დროს ნიკოლაე ჩაუშესკუ საკუთარი ზეწრით იყო ჩასული. მას ეშინოდა, რომ ბრიტანეთის სპეცსამსახურები ზეწარზე საწამლავს დააბნევდნენ. ასევე, ჩაუშესკუს არ უყვარდა ხელის ჩამორთმევა და თუკი ეს მაინც მოუწევდა, მის თანაშემწეს მუდამ თან ჰქონდა სპირტიანი ბოთლი, რათა დიქტატორს მალე განებანა ხელი ბაქტერიებისგან.

გავრცელებული ვერსიის თანახმად, ნიკოლაე ჩაუშესკუს უსაფრთხოებაზე 40 ათასი აგენტი ზრუნავდა მთელი რუმინეთის მასშტაბით. შექმნილი იყო უშიშროების სამსახური **„სეკურიტატე"**, რომელიც მის ყველა ნაბიჯზე ზრუნავდა. ყოველი მეოთხე რუმინელი, ფაქტობრივად, ჩაუშესკუს აგენტი იყო.

ერთხელ ნიკოლაე ჩაუშესკუ საბჭოთა კავშირში, ბიჭვინთაში ისვენებდა. მას თან ახლდა იონ პოპა, რომელიც ერთ-ერთ შეხვედრაზე დათვრა და ჩაუშესკუს პირადი პორტფელი დაკარგა ფულით და საიდუმლო დოკუმენტაციით. პორტფელი მალევე იპოვეს და ხელუხლებელი დაუბრუნეს პოპას. თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ყველა დოკუმენტს ასლის გადაღების კვალი ემჩნეოდა.

ნიკოლაე ჩაუშესკუ გატაცებული იყო რომაელი იმპერატორების ცხოვრების შესწავლით და განსაკუთრებით უყვარდა კალიგულა, რომელმაც საკუთარ ცხენს სენატორის წოდება მიანიჭა. ნიკოლაე ჩაუშესკუ არ ჩამორჩა თავის კერპს და ლაბრადორის ჯიშის საკუთარ ძაღლს, მეტსახელად კორბუს, რუმინეთის არმიის პოლკოვნიკის წოდება უბოძა. ამას გარდა, კორბუს ჰყავდა საკუთარი ლიმუზინი, რომლითაც ის ესკორტის თანხლებით გადაადგილდებოდა ბუქარესტის ქუჩებში. კორბუს ჰქონდა საკუთარი აპარტამენტები, საძინებლით, აბაზანით, ტელევიზორითა და ტელეფონი. რუმინეთის ელჩი დიდ ბრიტანეთში კი, დიპლომატიური ფოსტით ყოველდღიურად აგზავნიდა ლონდონში, სანსბერის სუპერმარკეტში ნაყიდ სპეციალურ ბისკვიტებს, რითაც კორბუ იკვებებოდა.

1971 წელს ცნობილმა რუმინელმა კინორეჟისორმა სერჯიუ ნიკოლაესკუმ გადაიღო ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ფილმი **„მიხაი მამაცი"**, რომელიც მე-16 საუკუნის ვალაჰიის მეთაურის, მიხაის ცხოვრებაზე მოგვითხრობდა. თავდაპირველად, ფილმი ამერიკულ კინოკომპანია **„ქალუმბია ფიქჩერზთან"** თანამშრომლობით უნდა გადაღებულიყო და მასში ჰოლივუდელ ვარსკვლავებს, კერკ დუგლასს, რიჩარდ ბარტონს, ელიზაბეთ ტეილორის, ჩარლტონ ჰესტონსა და ორსონ უელსს უნდა ეთამაშათ. მაგრამ, ნიკოლაე ჩაუშესკუმ უარი განაცხადა ამერიკელ ვარსკვლავებზე, ფილმის ბიუჯეტი შეამცირა და ბატალური სცენების გადასაღებად 5 ათასი რუმინელი ჯარისკაცი გამოუყო რეჟისორს. მიუხედავად იმისა, რომ ოთხი მილიონის ნაცვლად, ფილმის ბიუჯეტი 500 ათასი დოლარი იყო და მასში მხოლოდ რუმინელი მსახიობები მონაწილეობდნენ, **„მიხაი მამაცი"** რუმინული კინოს შედევრადაა მიჩნეული.

# რამდენად საშინელია ქართული სამზარეულო – პასუხი კრიტიკოს ბრიტანელს!

***(ჩვენი ბრალია, ყველა უჯიშოს რომ თავგამოდებით ვეპატიჟებით ხოლმე!)***



საჯაროდ ვეპატიჟები ბრიტანელ სტუმარს ლანჩზე რომელიმე ქართულ რესტორანში, ხოლო ამის შემდეგ, დიდი სიამოვნებით მივიღებდი საჯარო ბოდიშს, ქართული სამზარეულოს წინაშე!

რამდენიმე დღის წინ გადავაწყდი ფრიად არასასიამოვნო სტატიას სათაურით **"რატომ აღარ შევჭამ ხინკალს აღარასოდეს – ქართული კერძების სავალალო მდგომარეობა"**, სადაც ვინმე ბრიტანელი ბრალს გვდებს კერძების ზედმეტად განებივრებულობაში და აცხადებს, რომ ყელში აქვს ხინკალი და ხაჭაპური, სტატიაშივე მოგვიწოდებს სამზარეულოს გამრავალფეროვნებაზე.

პირველ რიგში, მეტისმეტად სასაცილოდ მეჩვენება, ბრიტანელისგან ქართული სამზარეულოს კრიტიკა და შემდეგ, ზოგადად ქართული სამზარეულოს კრიტიკა. ყველასთვის ცნობილია, რომ არ ვარ ბრმად მიკერძოებული ქართველი, რომელიც თვლის, რომ საუკეთესო ქვეყანაში ვცხოვრობთ, თუმცა ის, რაც კარგი გვაქვს – დასაფასებელია, განსხვავებით იმ ინგლისელებისაგან, რომლებიც ლამის გუშინდელ დღემდე მხოლოდ შემწვარ და მოხარშულ ხორცსა და თევზს მიირთმევდნენ და რომელთაც ახლახან თურქებმა და არაბებმა გაუმრავალფეროვნეს "ეროვნული" სამზარეულო.

დავიწყებ იმით, რომ სტატია დილეტანტის დაწერილს ჰგავს, რომელიც სულ ორჯერ მოხვდა ქართულ რესტორანში, უფრო სწორედ მიწისქვეშეთის სასადილოში და რეალურად წარმოდგენაც არ აქვს ქართულ სამზარეულოზე, შესაბამისად, სტატისტიკის არქონის პირობებში, მსგავსი ხმამაღალი განცხადებების გაკეთება მეტად არასერიოზულად მიმაჩნია.

ალბათ, აღნიშნული სტატიის ავტორს არასდროს სმენია ღომის, ელარჯის, ლობიოს, ბადრიჯნის და სხვა ბოსტნეულისგან მომზადებული კერძების უამრავი ნაირსახეობის, ჭვიშტარის, მჭადის, კუპატის, აფხაზურას, კუბდარის, გებჟალიას, ოჯახურის, ხარჩოს, საცივის, ჩახოხბილის, მწვადის, ქაბაბის და სხვა მრავალი უგემრიელესი კერძის შესახებ, რომელთა სრულად ჩამოთვლაც ძალიან შორს წაგვიყვანს. მეორე მხრივ, ქართულ რესტორნებში მენიუს არჩევანზე როცა ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრი ევროპული კერძიც მოგვეპოვება რესტორნების უმრავლესობაში, როგორიცაა: სტეიკის ნაირსახეობები, ცეზარი, ზოგადად სალათები, კიევური კოტლეტი, ბორში, სოლიანკა თუ სხვა. არ ვსაუბრობ ჩამოთვლილი ქართული კერძებიდან, რამდენი მათგანია ნაციონალური, ამ შემთხვევაში არჩევანზე მაქვს აქცენტი.

უმადური ბრიტანელის განცხადებით, საქართველოში ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობის კარგი რესტორანია, რაზეც კიდევ ერთხელ ვუცხადებ თანაგრძნობას და ვთხოვ ვინმეს, ვინც იცნობთ მას – ჩამოუთვალოთ ის რესტორნები, სადაც გემრიელად მომზადებული ქართული თუ უცხოური კერძები შეუძლია მიირთვას, მე თავს შევიკავებ სარეკლამო განცხადებისგან და შესაბამისად, არ ჩამოვთვლი.

ეს ვაი-სტუმარი ქართული კერძების სიმარტივეს როცა ახსენებს, სურვილი მიჩნდება ჩავკეტოთ სამზარეულოში და ელარჯის, ჩახოხბილის ან ხინკლის მომზადება ვაიძულოთ, შემდეგ კიდევ – ხელახლა დავუსვათ შეკითხვა, რამდენად **"მარტივია"** ქართული კერძების მომზადება, თუ შემადგენლობა.

ცალკე თემაა სამზარეულოსთან ძალიან ახლოს მყოფი სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციაც, მხოლოდ ის რად ღირს, დაღლილი დასავლეთში რომ ჩახვალ და მასპინძელი თან რომ გადაგყვება, პოზიტივით რომ იმუხტები და ოთახში დატრიალებული კერძების სურნელისგან თავბრუ რომ გეხვევა.

თუ კონკრეტული რესტორნების სამზარეულოების გაუმჯობესებაზეა საუბარი – კეთილი ვინებოთ და დავასახელოთ, რამდენიმე დაბალი ხარისხის რესტორნის კერძების ავ-კარგიანობას სრულიად საქართველოზე რომ ვანზოგადებთ.

და ბოლოს, თუ გვაკრიტიკებთ, გამართული ქართულით მაინც გაგვაკრიტიკეთ ძვირფასო ბრიტანელო, თუ მხარდამჭერ-მთარგმნელო ქართველებო, სათაურის სწორი ფორმაა: **"არასდროს შევჭამ, ორმაგი უარყოფის გარეშე"**.

აქვე დავამატებ, ყოველი შემთხვევისთვის: **"არ მომწონს"** მისაღებია და პატივსაც ვცემთ ნებისმიერი ადამიანის სუბიექტურ აზრს, თუმცა **"მოსაბეზრებელი"**, **"უვარგისი"**, **"წყალწყალა"** და ა.შ. – არც ისე სასიამოვნო, განსაკუთრებით, როცა ეს ყველაფერი ანალიზის და არგუმენტაციის გარეშეა ნათქვამი.

**p.s.** საჯაროდ ვეპატიჟები ბრიტანელ სტუმარს ლანჩზე რომელიმე ქართულ რესტორანში, ხოლო ამის შემდეგ, დიდი სიამოვნებით მივიღებდი საჯარო ბოდიშს, ქართული სამზარეულოს წინაშე!

**გურამ შეროზია**

# დედა-ეკლესიას მოწყვეტილი იერუსალიმის წმინდა სალოცავები

**„მთები, მთები, ტევრი, ყანა, ზღვა,**
**საქართველო, ჩიტის გულის ხელა,**
**სალოცავი არ მქონია სხვა,**
**ენაცვალოს სალოცავი ყველა!“**



ამ სიტყვებით ეფერება საქართველოს ნებისმიერი ქართველი შემოქმედი, რომელსაც თუნდაც ერთი სტრიქონის დაწერის საშუალება ჰქონდეს. არანაკლებ სითბოსა და სიყვარულს ამჟღავნებენ საქართველოსადმი მისი უცხოელი სტუმრები და მეგობრები. ამიტომ, ძნელია იმ ადამიანების სულიერი შრეების გაშიფვრა, რომლებიც სიტყვითა და საქმით ებრძვიან საქართველოს, მტრად და ავისმქმნელად მოიაზრებენ ამ მართლაც ჩიტისგულისხელა ქვეყანას. მით უმეტეს გაუგებარია საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული ვაი-ქართველების მოქმედების მოტივი და მიზანი.

საქართველოს ისტორიის უმეტესი ნაწილი ომია, გამუდმებული ბრძოლა შიდა თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ, ომი მამულის, ენისა და სარწმუნოების დასაცავად, სადაც, როგორც წესი, მუდამ ხმალშემართული ქართველი კაცი გამოდიოდა გამარჯვებული. მაგრამ ბუნებით რაინდ და პირში მთქმელ ქართველს ყოველთვის უჭირდა ბრძოლა იმ ქვემძრომ მტერთან, რომელიც ზოგიერთი მეზობლის სახით უწყალობა ღმერთმა. საქართველოს არც მოღალატე მმართველები აკლდა, რომელთაც პირადი ინტერესები ერის ინტერესებზე მაღლა ეყენათ, მაგრამ ქართველებს არასოდეს არ ჰყოლიათ ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის (სააკიანცის) მსგავსი ზნედაცემული და საკუთარი მამულის მტერი “მაოხარი გზირები”, რომელნიც ყოველნაირი ხერხებით ცდილობდნენ საქართველოს წაშლას მსოფლიოს გეოგრაფიული და პოლიტიკური რუქიდან, ნაწილ-ნაწილ ჰყიდდნენ საქართველოს და რომელთაც ნებისმიერ მტერზე დიდი და ლამის გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს ჩვენს მრავალნატანჯ სამშობლოს.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში ცეცხლითა და მახვილით შემოთესლილმა შევარდნაძემ სამასი უზნეო და ამორალური ქართველი ახალგაზრდა შეარჩია და ამერიკაში გაგზავნა სასწავლებლად. ჯერ აქ რას წარმოადგენდნენ ეს სულიერად გახრწნილი თუქსუსი ყნაწვილები და ამერიკაში რა სასიკეთო უნდა ესწავლათ – საქართველოში ჩამოთრევისთანავე დაეტაკნენ მდიდარ ქართულ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს და დაუნდობელი ომი გამოუცხადეს. შექმნეს რა ავადსახსენებელი “თავისუფლების ინსტიტუტი”, რომელსაც პირწავარდნილი ურია-მასონი, ამერიკელი მილიარდერი ჯორჯ სოროსი აფინანსებდა, მათ აითვალისწუნეს და მოიძულეს ყოველივე ქართული სილამაზე და ჰომოსექსუალიზმის, ლესბოსელობის, ინცესტისა და სხვა გარყვნილების პროპაგანდას მოჰკიდეს ხელი. მათ შორის განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩეოდა შეურაცხადი ახალგაზრდა კაცი მანიაკალური გადახრებით – მიხეილ სააკაშვილი (ეროვნებით სომეხი – სააკიანცი), რომელიც **“ვარდების რევოლუციად”** სახელდებული პოლიტიკური ინტრიგებით გაათრია პროვოკატორმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს პრეზიდენტად.

ცხრა წელიწადი ედგა ეს არაკაცი სათავეში საქართველოს და ეს ცხრა წელიწადი საქართველოს ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი უდიდესი სირცხვილი, რადგან ჩვენს ქვეყანას ერთი ხეპრე, გაუნათლებელი, მანიაკი, სადისტი, მამაკაცურად დაუძლურებული მექალთანე ედგა სათავეში. რაც შემდეგ დამართა საქართველოს ამ არაკაცმა და მისმა ნაციონალურმა ბანდამ, უკვე მთელმა მსოფლიომ იცის და სწორედ ეს გახლავთ ჩვენი დიდი უბედურება!

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს მტრობდნენ ხვარაზმელები, არაბები, მონღოლები, ოსმალები, სპარსელები, ლეკები, სხვა ჯურის მომხვდურნი, მაგრამ, ზოგიერთი შაჰ-აბასისნაირი გამონაკლისი მტარვალის გარდა, მათი შემოსევების მიზანი იყო საქართველოს სიმდიდრეთა ძარცვა-მიტაცება და არა მთელი ქვეყნის განადგურება ან გადაყლაპვა. თუ ბოლო პერიოდის მოვლენებს და ქართველთა წინააღმდეგ გამართული ბრძოლის პერიპეტიებს მივადევნებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ დღეისათვის საქართველოს ჰყავს სამი დაუძინებელი მტერი: სომხური თეოკრატია, საერთაშორისო მასონის ედუარდ შევარდნაძის დანატოვარი ნაცბანდა და ქართველი ხალხის მიერ პრეზიდენტობიდან მოსროლილი პირწავარდნილი დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი. მათ შორის ყველაზე გულბოროტ მტრად მაინც სომხეთი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ყოველგვარ ინსინუაციას კადრულობს საქართველოს ისტორიული როლის დასაკნინებლად. ამჟამად უკრაინაში ამერიკელების მიერ შეთესლილი მშიშარა არაკაცი, სომეხი დაშნაკი სააკაშვილი მაინც ვერ ისვენებს, მის მიერ მოქრთამული ამერიკელების წაქეზებით უხამსად იმუქრება, რომ ჩამოვა, ხელისუფლებას კვლავ ხელში აიღებს და ყველას გაუსწორდება, და ეს მაშინ, როცა მასზე აღძრულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულებისათვის.

ეჭვიც არავის ეპარება, რომ იგი, დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად წარსდგება ქართული მართლმსაჯულების წინაშე.

და განა არაკაც სააკაშვილს, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ქართველების სისხლს სვამდა და კორუფციის მორევში ტრიალებდა, ექნებოდა იმის სურვილი, რომ ქართველებისათვის გამოესყიდა იერუსალიმის სიწმინდეები?

თქვენც არ მომიკვდეთ!

ახლა კი საქართველოს მეორე საფრთხეც უახლოვდება – ამერიკელი მასონები ყველა ღონეს ხმარობენ საიმისოდ, რომ საქართველოს თავზე შემოასვან ნაციონალებზე არანაკლებ მავნებლური პოლიტიკური ძალა – რესპუბლიკელები, რომლებიც თანდათან ეუფლებიან საკვანძო თანამდებობებს. არა და, რესპუბლიკელები შენიშნულები არიან ბევრად უფრო რეზონანსულ ქვეყნის დამანგრეველ ქმედებებში, ვიდრე ავადსახსენებელი ნაციონალები, რომელთა გასანეიტრალებლად ქართველებს დიდი ძალისხმევა მართებთ.

ამ ძალებს სურთ, რომ საქართველო წარმოაჩინონ როგორც გეოგრაფიული დერეფანი და არა როგორც მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი. ამიტომ ცდილობენ საქართველო წარუდგინონ მსოფლიო საზოგადოებას როგორც უისტორიო ფენომენი, სხვადასხვა გვარის ხალხების მექანიკური თავმოყრის ადგილი, რომელსაც არასოდეს ჰყოლია გიორგი მერჩულე და გრიგოლ ხანძთელი, შოთა რუსთაველი და საბა, ილია და სტალინი, რომელიც არ წარმოადგენდა ოქროს მომპოვებელ პირველ ქვეყანას, რომელსაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ზღაპრულ სამყაროდ წარმოგვიდგენდა დიდი ჰომეროსი და ამიტომ არ უნდა ჰქონდეს საყდრისი-ყაჩაღიანი...

ჩვენ კი ეს ყოველივე კომერციული სტრუქტურების ანგრებისა და ეშმაკობის შედეგი გვგონია...

სწორედ ამგვარი მტრული ძალების ცბიერებასა და ავკაცობას ეძღვნება ეს ბროშურა, რომელიც გამოდის მკითხველთა სამსჯავროზე, ქართულ-ინგლისურ ენებზე, და, ასევე, თავის ადგილს დაიკავებს ინტერნეტგამოცემებში.

**ავტორი**

## ცუდას რად უნდა მტერობა...

დიდი ვაჟა-ფშაველას ეს მაგიური სიტყვები იმ საქართველოს ეკუთვნის, რომლის სიმშვენიერეს მწყობრიდან გამოჰყავს მისი მეზობელი სახელმწიფოები და რას აღარ კადრულობენ ჩვენს დასამცირებლად და დასამცრობად, რადგან კარგად იციან, რომ ქართველებს ვერასოდეს შესწვდებიან ვერც მენტალურად, ვერც კულტურით და ვერც ადამიანურად. ამიტომ სურთ, რომ ისევე გაგვანადგურონ, როგორც ბარბაროსებმა დაანგრიეს თავის დროზე ბაბილონი, ასურეთი, ნინევია, ძველი ეგვიპტე...

ჩვენზე ასეთი გაბოროტებული მეზობლები არიან სომხები, მუსულმანი მთიელები, თურქები, აზერბაიჯანელები და თვით სპარსელებიც კი, რომელთანაც საერთო საზღვარი მე-12 საუკუნის შემდეგ არ გვქონია, თუმცა, რომელთაც სხვა გეოგრაფიულ მეზობლებზე არანაკლებ დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს სამშობლოს.

დავიწყოთ სომხებით!

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ სომხებმა დიდი ხანია თავი მოაბეზრეს მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელმწიფოებს, იმის მტკიცებით, რომ ერთ დროს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული იყო მხოლოდ “დიდი სომხეთი”, რომ მაშინ ამ არეალში სხვა სახელმწიფოები არ არსებობდნენ, რომ სომხები ყველაზე ჭკვიანი და ავტორიტეტული ერია მთელ მსოფლიოში, რომ მათ ბადალი არ გააჩნიათ დედამიწის ზურგზე, რომ მათგან მოედინება მიწიერი ცივილიზაცია და სხვა სულელური ჰიპოტეზებით. როცა მათ მორიდებით შევახსენებთ ხოლმე, რომ ჰომეროსის უკვდავ ქმნილებათა გმირებმა ოქროს საწმისი წაიღეს არა სომხეთიდან, არამედ დიდი ცივილიზაციის მქონე კოლხეთის სამეფოდან, სომხები ამ მტკიცებულებას აგრესიული დუმილით ხვდებიან, რადგან იმდენი ჭკუა ჰყოფნით, რომ ეჭვის ქვეშ არ დააყენონ დიდი ისტორიამდელი მწერლის უკვდავი ლიტერატურული მემკვიდრეობის რეალობა. და მაინც, მიუხედავად მრავალი ამგვარი უმსგავსოებისა, მიუხედავად იმ დაუჯერებელი ღალატისა, რასაც ხშირად სომხები ისტორიულად მათი შემფარებელი და მტრის ხმლისაგან დამცველი ქართველების მიმართ სჩადიოდნენ, მიუხედავად აფხაზეთში რუსების მიერ ქართველებსა და აფხაზებს შორის პროვოცირებულ ძმათამკვლელ ომში ქართველების წინააღმდეგ გამოჩენილი სისასტიკისა, ჩვენ ომს ვუცხადებთ არა სომხეთსა და მის შრომისმოყვარე მოსახლეობას, არამედ იმ ვაისომხებს, რომელთაც ვერასგზით ვერ უპოვიათ საკუთარი ადგილი კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში და რეალური ისტორიის გაყალბებით ცდილობენ სომხეთის განდიდებას სხვა მეზობელი სახელმწიფოების დამცირების ხარჯზე.

მსოფლიო ისტორიაში ნამდვილად ძნელად მოიძიებს ადამიანი მეზობელი ქვეყნების მიმართ ისეთ უპატივცემულობას, სხვა ერების წარსულის გაყალბებისა და კულტურული მემკვიდრეობის მითვისების ისეთ უზნეო მცდელობას, როგორც ამას აკეთებენ სომეხი ვაი-მეცნიერები და სომხურენოვანი გაზეთები. მაგალითად, **„დიდი სომხეთის“** არც თუ ჭკუასთან ახლოს მდგომი იდეის სომეხი აპოლოგეტები სომხეთში ბეჭდავენ და ახალქალაქში უფასოდ ავრცელებენ გაზეთ **„მეწამორს“**, რომელიც სიყალბისა და სისულელის კონგლომერატი უფროა, ვიდრე ელემენტარული საინფორმაციო ღირებულების მქონე პრესა. მასში დიდი ადგილი ეთმობა ვიღაც სომეხი ვაიმეცნიერების **სურენ აივაზიანისა** და **მანუკ მანუკიანის** თითიდან გამოწოვილ ყალბ სენტენციებს, რომელთაც ზურგს უმაგრებს ცნობილი პოლიტარამზადა და რუსული რეაქციული წრეების ზნედაცემული რუპორი **ანდრანიკ მიგრანიანი**.

სომეხი ვაი-მეცნიერები ხელაღებით სწერენ, რომ ყველა ქართველი თავადი სომხური წარმომავლობისაა, დიდი ქართველი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე სომეხია, ასევე სომხები არიან იოსებ სტალინი, ბოროდინოს ომის გმირი პეტრე ბაგრატიონი და უამრავი ქართველი მეცნიერიო. მათივე აზრით, თურმე ქართული ლირიული ლექსი **„სულიკო“** ვიღაც დავით აბრამიანს დაუწერია, ქართულად კი აკაკი ბაგრატუნს უთარგმნია, რომელიც თურმე აკაკი წერეთლის ფსევდონიმით წერდა. აქ რომ სომხებს ელემენტარული წარმოდგენა არ გააჩნიათ რეალობაზე, იმითაც დასტურდება, რომ მათ **„სულიკოს“** ავტორად აკაკი წერეთელი მიაჩნიათ და არა ვარინკა წერეთელი, რომელმაც შექმნა ეს მართლაც შესანიშნავი ლირიული ნაწარმოები.

მაგრამ სომხური სისულელისა და უაზრობის კულმინაცია გახლავთ იმის მტკიცება, რომ თითქოს მსოფლიო შემოქმედებითი შედევრების საუნჯედ ქცეული ქართული ლიტერატურული ძეგლი **„ვეფხისტყაოსანი“** სომხურ ენაზე დაწერა ვიღაც სომეხმა პოეტმა აშოტმა ქალაქ რუსთავიდან. მათივე მტკიცებით, შემდეგ, ქართველებმა ეს ნაწარმოები თურმე მოიპარეს, ქართულ ენაზე თარგმნეს, სომხური დედანი კი დაწვეს და ამიტომაც შემორჩა მატიანეს მხოლოდ ქართული ვარიანტიო. უფრო ღიმილისმომგვრელ ვერსიას მართლაც ვერ მოიფიქრებს ადამიანი.

თვლა აღარ აქვს იმ სულელური სახელმძღვანელოების გამოცემას, რომლებშიც საუბარია ყბადაღებულ დიდ სომხეთზე **„ზღვიდან ზღვამდე“**, ე.ი. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ამავე სახელმძღვანელოებში საუბარია სომხთა მსოფლიო მისიაზე – ცივილიზაცია შეიტანონ ყველა ქვეყანაში. მესამე საუკუნეა სომხები მსოფლიოში ავრცელებენ სპეციალურ რუქებს, რომლებშიც **„დიდი სომხეთი“** გადაჭიმულია რუსეთის ქალაქ ვორონეჟამდე, დედაქალაქად კი გამოცხადებულია თბილისი.

აი რას სწერს თავის ნაშრომში **„სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია“** ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი, ბატონი **ანზორ თოთაძე: „საუკუნეების მანძილზე მტრებისგან შევიწროვებული სომხები ყოველთვის პოულობდნენ თავშესაფარს საქართველოსა და მის დედაქალაქში. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისის აღების შემდეგ (1122 წელი) დედაქალაქში ბევრი ანისელი სომეხიც ჩაასახლა იქ ქრისტიანული ელემენტის გაძლიერების მიზნით და მათ ქართველებთან გათანაბრებული მოქალაქეობრივი უფლებები მისცა... სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაელის (XII საუკუნე) ცნობით, დავით აღმაშენებელი: „იყო შემწყნარებელი და მოყვარე სომეხი ხალხისა“, ხოლო მე-13 საუკუნეში ასევე სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი, თავად თემურ-ლენგისაგან შევიწროვებული და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ქართველების მიერ სომხების შეფარების გამო შენიშნავდა, რომ ქართველები ძალზე კეთილნი და გულითადნი იყვნენ მოსულების მიმართ, რომლებიც მათთან თავშესაფარს ეძებდნენო.“** (ანზორ თოთაძე, **„სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია“**, თბილისი, 2005, უნივერსიტეტის გამომც. გვ.38-39).

საინტერესოა, ასეთი რა თაღლითობის ვირუსი შეეყარათ თანამედროვე სომეხ ისტორიკოსებს, რომლებიც სიცრუედ აცხადებენ მათ წინაპართა მტკიცებულებებს და ამით შეურაცხყოფას აყენებენ მათი ხსოვნის საქმესაც.

საერთოდ, სომხეთისა და საქართველოს გეოგრაფიის თაობაზე **ილია ჭავჭავაძე** იმოწმებს მსოფლიოს ძველი ისტორიის ცნობილი მკვლევარის **მასპეროს** სიტყვებს: **„მთიანი ქვეყანა (ურარტი), საიდანაც გამოდიან ტიგრი და ევფრატი, ჯერ კიდევ ასურელთა მეფის სარგონის დროს (721წ.) დასახლებული იყო ერთის მოდგმის ერითა, რომელიც მთლად განსხვავებულია ეხლანდელ სომხთაგან და ეკუთვნის ნათესაობით ქართველებსა. ეს დასკვნა ლენორმანისა სახელგანთქმულად დამტკიცებულ იქნა სეისისა და გუიარის მეცნიერული ღვაწლით“.** სულმნათი ილია ჭავჭავაძე მაშინდელი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ასკვნიდა: **„ურარტელების სახელს ტყუილად იჩემებენ სომხები, უწინდელს დიდს არმენიას ტყუილად ჰხადიან თავის პირველყოფილ სამკვიდროდ და თუ ურარტელების სიკეთე გამოჰყოლია ვისმე მოდგმით და თუ მაგ სიკეთით შესაძლოა ვინმემ თავი მოიწონოს, ასე ყოველი ქართველობის კუთვნილებაა და არა სომხობისა“** (ილია ჭავჭავაძე, ტ.VIII, თბ. 1957, გვ.170-171).

**როლანდ ჯალაღანია,**
ჟურნალისტი

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# საქართველო-შოტლანდია 1:0 – პოზიტივი ტენდენციად უნდა იქცეს!

2007 წლის მსგავსად, ჩვენს გამონათებას შოტლანდიის ნაკრები შეეწირა. მაშინ კლაუს ტოპმიოლერის გუნდის კარგ თამაშს გაგრძელება აღარ მოჰყოლია. იმედია, აქ დაირღვევა ტრადიცია და ეროვნული გუნდის კარგი თამაში პროცესში გადაიზრდება.

ამაზე გაამახვილა კიდეც ყურადღება ნამატჩევს კახა ცხადაძემ, რომელმაც ქვეყნის პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი ოფიციალური თამაში მოიგო.

თავიდანვე ვიტყვით, რომ თამაშის ოქმში მითითებული საქართველოს ნაკრების ტაქტიკური სქემა პირობითია. სამი ცენტრალური მცველის ამბავი გასაგებია. უჩა ლობჟანიძესა და გიორგი ნავალოვსკის კი მცველებს მხოლოდ პირობითად თუ მივაკუთვნებთ – მთელი შეხვედრის განმავლობაში ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ნაკრების იერიშებში.

მინდვრის ცენტრში ორი საყრდენი ვიხილეთ – ჯანო ანანიძე და ჯაბა კანკავა. ორივე მათგანი ქმნიდა და შლიდა კიდეც. ცენტრში ამ დუეტის გარჯას, რასაც მალევე მივუბრუნდებით, მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა თამაშის საბოლოო შედეგზე.

ცხადაძემ შოტლანდიის კარზე სამი შემტევი მიუშვა – თორნიკე ოქრიაშვილი, ვაკო ყაზაიშვილი და ლევან მჭედლიძე, ოღონდ ამათგან ეს უკანასკნელი გამოკვეთილი იყო. ერთხელაც დამტკიცდა, რომ თუ ამ ფორმაციის ნაკრებში თამაში დალაგდება, შეტევაში შექმნა შეგვიძლია.

ასეთი გამარჯვებები მხოლოდ კარგი გუნდური თამაშის შედეგად მოდის. საქართველომ ითამაშა გუნდურად, აწყობილად და ხარისხიანად. თამაშის მთელ რიგ მონაკვეთებში მოწინააღმდეგეზე უკეთესად გვეჭირა ბურთი. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, სქოთებს ამ კომპონენტში მცირე უპირატესობა აქვთ. ვფიქრობთ, ეს სადავოა, მაგრამ თუ მაინც ასეა, ისევ და ისევ ბოლო 10 წუთის ხარჯზე, როცა ანგარიშში ჩამორჩენილმა მეტოქემ მთელი გუნდით შემოგვიტია. განსაკუთრებით, ის ეპიზოდი გვენიშნა, სტუმრებს ბურთი დაახლოებით სამწუთნახევრის განმავლობაში რომ დავუმალეთ...

მაგრად ითამაშეს მცველებმა, ყველა რგოლი აკეთებდა თავის საქმეს, მაგრამ განსაკუთრებით 4 ფეხბურთელი უნდა გამოვარჩიოთ:

დიდებული იყო მჭედლიძე, ვინც იმდენი იომა, იმდენი ბურთი მოიგო და იმდენჯერ გაამწვავა სიტუაცია, ბარე ორ მატჩს ეყოფოდა; საუკეთესოდ ითამაშა საყრდენად გამწესებულმა ანანიძემ; ძალიან მყარად იდგა გუნდის კაპიტანი ჯაბა კანკავა. უმაღლეს დონეზე ითამაშა საბა კვირკველიამაც... და სადაც 4, იქაც 5 იყოს – ყაზაიშვილს გოლი უნდა დავუფასოთ.

"ფეარ პლეის" საერთაშორისო დღეს გამართული შეხვედრა მნიშვნელოვნად გაალამაზა ორივე გუნდის გულშემატკივართა ხმაურიანმა ქომაგობამ. ნერვული დაძაბულობა მინდორზე წამითაც კი არ განელებულა...

პირველი სახიფათო შეტევა ქართველებისა იყო. ყაზაიშვილი მეტოქის კარისკენ სახიფათოდ გაიჭრა. მას მჭედლიძე და ოქრიაშვილი ეხსნებოდნენ, თუმცა ვაკომ, რატომღაც, კარში დარტყმა გადაწყვიტა და კარგად ვერ გამოუვიდა.

იქვე, სქოთები მოგვეძალნენ. სტივენ ნეისმიტი ნუკრი რევიშვილთან პირისპირ გასვლას ლამობდა, თუმცა ქართველთა დაცვამ მომხდური დროულად ალაგმა. გვარიანი საფრთხე ავიცილეთ.

21-ე წუთზე ზეაქტიური მჭედლიძე დიდებულად გაისარჯა – ერთბაშად 3 მოწინააღმდეგე ჩამოიშორა და კარშიც დაარტყა, თუმცა "ემპოლის" ფორვარდს ოდნავ დააკლდა სიზუსტე.

შოტლანდიელთა პასუხი წამიერი იყო. მათ რიგებში გამორჩეულმა ნეისმიტმა საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა, თუმცა კარგად მოთამაშე კვირკველიამ ვარდნაში განმუხტა სიტუაცია და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

თანდათან თამაში პოზიციურ ბრძოლაში გადავიდა. მორიგი მომენტი გორდონ სტრაჩანის გუნდისა იყო. ენდრიუ რობერტსონის გადაცემის შემდეგ სტივენ ფლეტჩერი ვარდნაში ცდილობდა გატანას, თუმცა სიტუაცია ისევ კვირკველიამ განმუხტა თავდადებული ვარდნით.

38-ე წუთზე ნანატრი გოლი გავიტანეთ. კანკავას გადაცემის შემდეგ მჭედლიძემ მაღალი ბურთისთვის თავდადებით იბრძოლა და ყაზაიშვილს დაუგდო. ვიტესელიც დიდებულად გაისარჯა – ჩამოხსნა ბურთი, მცველი მოძრაობაში მოიშორა და საჯარიმოს გარედან ცაციათი გამოზომილი დარტყმით შანსი არ დაუტოვა სტუმართა კარის დარაჯს.

ტაიმის ბოლომდე საგოლე მომენტი კიდევ გვქონდა. ცენტრიდან კარგად წავიღეთ ბურთი, ჯანომ მარცხნიდან გახსნილ ოქრიაშვილს გადააწოდა, კუთხე მახვილი იყო და შემტევმა **"პოდსებია"** გააკეთა და ისეთი გოლის გატანა მოინდომა, როგორიც თავის დროზე ბელორუსს შეუგდო... სამწუხაროდ, სქოთი მცველი ჩვენებურის მოძრაობას არ აჰყვა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

მეორე ტაიმის დასაწყისი კვლავ საქართველოს ნაკრების აქტიურობით აღინიშნა. თუმცა მანამდე სქოთებმა ნაკუთხურალი ბურთი კარში ჩაგვიხვიეს და იმათმა ფორვარდმა ნუკრი რევიშვილი კარში **"შეიტანა"**. მსაჯმა ჯარიმა დანიშნა. ჩვენ წინ შოტლანდიელმა ჟურნალისტებმა ეს ეპიზოდი არაერთხელ დაატრიალეს, ყველაფერი კარგად გამოჩნდა და ხმა არ გაუღიათ – არბიტრს დაეთანხმნენ...

ისევ საქართველოს შეტევა. ანანიძის პასის შემდეგ გურამ კაშია ურტყამდა დევიდ მარშალის კარში. დარტყმა სასურველად ძლიერი ვერ გამოვიდა და ბურთი მეკარემ ხელებში დააფიქსირა.

მე-60 წუთისათვის სტრაჩანმა ორმაგი შეცვლით თამაში გადააწყო. მან მცველი მოხსნა და მინდორზე თავდამსხმელი შეუშვა, თუმცა ამ საქმიდან ბევრი არაფერი გამოვიდა. სახიფათო მომენტი კვლავ საქართველომ შექმნა.

ისევ მჭედლიძე! ლევანმა ძალუმად წაიღო ბურთი, მიუახლოვდა საჯარიმოს და მარცხენათი ყუმბარისებურად დასცხო – მეტოქე მარშალის ნახტომმა გადაარჩინა.

**"ახალი სისხლი"** ცხადაძემაც შეუშვა გუნდში – ოქრიაშვილის ნაცვლად მინდორზე გიორგი მერებაშვილი გამოჩნდა. ოქრიაშვილმა უკმაყოფილო ჟესტიკულაციით დატოვა მინდორი და მწვრთნელსაც ხელი არ ჩამოართვა. აქ მხოლოდ ერთი დადებითი მომენტია – ოქრიაშვილს თამაში უნდოდა და ეს კარგია, ამბიციისა და ემოციის გარეშე არც ფეხბურთი ვარგა და არც ფეხბურთელი, მაგრამ ზომიერებას არავინ უნდა გადასცდეს.

აქ არ დავიწყებთ იმის გარჩევას, რამდენად გამართლებული ან გაუმართლებელი იყო ეს შეცვლა, ეს არ არის ახლა პრინციპული საკითხი; მთავარი ისაა, რასაც ფეხბურთელი უნდა შეეგუოს – შეცვლა მწვრთნელის საქმეა და გადაწყვეტილებაზეც ის აგებს პასუხს!

ამ არასასიამოვნო ფაქტზე მეტს აღარ დავწერთ. აღარ დავწერთ თუნდაც იმიტომ, რომ ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების თავკაცმა ძალზე ტაქტიანად ისაუბრა მომხდარის თაობაზე და ვფიქრობთ, აღარ არის საჭირო ცეცხლზე ნავთის დასხმა.

...შოტლანდიამ კი წაგების საფრთხე იგრძნო და მოგვეძალა, მაგრამ ბოლო წუთებში ზედიზედ მოწოდებულ კუთხურებს თუ არ ჩავთვლით (რასაც დიდი საფრთხეც არ მოჰყოლია), შტურმი ეგრეც ვერ მოგვიწყო. საქმე მხოლოდ ნახევარმომენტამდე მივიდა – კვირკველიას ფეხიდან აჭრილი ბურთი რევიშვილმა იოლად მოიხელთა.

ერთ მომენტში ჩვენც მოვიცალეთ შეტევისთვის. ანანიძე-მჭედლიძის კომბინაციის შემდეგ ემპოლელი მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ ბადეს ბურთი გარედან მოარტყა.

...უსაშველოდ გაწელილი კომპენსირებული დროც (რუმინელმა რეფერიმ 4 წუთის დამატება კი ბრძანა, მაგრამ საბოლოოდ 5 გამოვიდა) ამოიწურა და 3 ქულა ალალად დაგვრჩა, თანაც სოლიდური თამაშიდან გამომდინარე.

რა თქმა უნდა, ცხადაძეს ძალზე ბევრი სამუშაო აქვს. რა თქმა უნდა, ამ გამარჯვებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს და, როგორც ზემოთ ვთქვით, ის პროცესში უნდა გადაიზარდოს, ტენდენციად უნდა იქცეს, მაგრამ კარგი ისაა, რომ:

**გვყავს მწვრთნელი, ვინც ნიუანსებში გრძნობს თამაშს...**

**ბურთის აღარ გვეშინია...**

**მას უმისამართოდ აღარ ვიგერიებთ...**

**ვცდილობთ შეტევას და კომბინირებას, რაც ფეხბურთის დედააზრია...**

**ვცდილობთ პირველ ნომრად თამაშს, რაც ბოლო წლებში დაგვავიწყდა და ხანდახან გამოგვდის კიდეც...**

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

კარზე ზარია:
– გამარჯობა! მე თქვენი მეზობელი ვარ.
– ზევიდან თუ ქვევიდან?
– რა... ეგრე პირდაპირ?

* * *

– მიხო, ხვალ მშობლების გარეშე სკოლაში არ მოხვიდე!
– ზეგ?

* * *

"პახმელიაზე":
– გუშინ პარასკევი იყო, ხვალ შაბათია... დღეს რა დღეა ნეტა?

* * *

– მამიკო, სულ "უფულობა, უფულობა" რომ მესმის, რას ნიშნავს უფულობა?
– ოო, შვილოო... ფული – ეს ბევრი რამეა; ეს შამპანურებია, მაგარი მანქანები, ქალები...
– უფულობა?
– უფულობა – ლუდია, ტროლეიბუსია და... დედაშენია...

* * *

– მამიკო, მე რომ შენხელა ვიქნები, შემეძლება რაც მინდა ის გავაკეთო?
– არა შვილო, მაშინ უკვე ცოლი გეყოლება.


### სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში



დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).



მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სოხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)



გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge